# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 4 სექტემბერი 2006 №203 (2825) ფასი 50 თეთრი

# გაკვეთილი

## ფრანგებმა ლანცეტი და დიაგნოზი დაგვისვეს

## ორ დღეში ფეხზე უნდა დავდგეთ!



## ქართველების ლუქსი ლუქსემბურგია

# 86:44



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევრო 2007. შესარჩევი ეტაპი
## ახალგაზრდულები



გაფი კიკილაშვილის ფოტო

თბილისი. 3 სექტემბერი. 21.30. მიხეილ მესხი. 4 000 (ტევადობა 25 600)

**საქართველო 1:3 სერბეთი**

0:1 მრდა (19), 1:1 იაშვილი (44), 1:2 ბაბოვიჩი (45), 1:3 მილოვანოვიჩი (67პ)

**საქართველო:** რევიშვილი, სეთურიძე, კაშია, ხუბუტია, ელიავა (ლუქაშვილი 46), იმედაშვილი (კობახიძე 73), გრიგალაშვილი, მარცვალაძე (ფიფია 46), ნავალოვსკი, გელაშვილი, იაშვილი
*სათადარიგონი:* ლორია; მჭედლიშვილი, თომაშვილი, მერებაშვილი
**მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი

**სერბეთი:** კაჰრიმანი, ივანოვიჩი, ტოშიჩი, რნიჩი (იველია 35), იანკოვიჩი, მილოვანოვიჩი, პეროვიჩი, დრინჩიჩი (რაკიჩი 80), ბაბოვიჩი (სმილიანიჩი 70), კრასიჩი, მრდა
*სათადარიგონი:* სტეფანოვიჩი, კაჩარი, კოლაროვი, რადოვიჩი
**მწვრთნელი:** მიროსლავ ჯუკიჩი

**გაფრთხილება:** გელაშვილი (16), იმედაშვილი (23), ხუბუტია (56), კაჰრამანი (64), მილოვანოვიჩი (79), იაშვილი (86), ხუბუტია (89)

**გაძევება:** ხუბუტია (89)

**მსაჯი:** სებასტიან გოლტესკუ (რუმინეთი)

# ფრანგულის გაკვეთილი სერბულით გაგრძელდა

**ილია ნანობაშვილი**

**ორდღიანი** ლექცია დამთავრებულია. ჯერ ეროვნული ნაკრები დაესწრო ფრანგულ გაკვეთილს, გუშინ კი ახალგაზრდული — სერბულს. ეს ისეთი გაკვეთილები იყო, უნდა გეყურებინა და თუ შნო გქონდა, გესწავლა, როგორ უნდა გამართული ფეხბურთის თამაში.

სერბებს რა უჭირთ, აწმყო თუ მაინცდამაინც არ სწყალობთ და ამ მუნდიალზე უსახურად ითამაშეს, აგერ, ცვლა ეზრდებათ ისეთი, ბარე ორ ევროპულ ქვეყანას თვალს დაუყენებს. ბალკანელთა ამ გუნდმა ორიოდ თვის წინ ევროჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ნახევარფინალში გააღწია.

მილოშ კრასიჩი — ტანმაღალი ქერათმიანი ნახევარმცველი ფლანგებზე ისე გაურბოდ-გამოურბოდა ქართველებს, თითქოს კატა-თაგვობანას ეთამაშებაო. კრასიჩი საუკეთესო იყო, თუმც მე თქვენ გეტყვით, თანაგუნდელებმა ვერ აუბეს მხარი. კლაუს ტოპმიოლერი და რალფ მინგე სათადარიგოთა სკამის მოშორებით ისხდნენ, ხოლო გუნდს კობა ჟორჟიკაშვილი მოძღვრავდა. ტოპიც და მინგეც ემოციებში იყვნენ, ტაშითაც ამხნევებდნენ ჩვენებს და მსაჯებისადმი გულისწყრომასაც ხმაურიანად გამოხატავდნენ. მარცხის მსაჯებზე გადაბრალება სასაცილოა, მაგრამ რამდენიმე მომენტში მათ აშკარად „სერბულად“ დაუსტვინეს, თუნდაც საპენალტე სიტუაციისას — ნაღდად ვერ მივხვდით, რის გამო დაინიშნა თერთმეტმეტრიანი ნუკრი რევიშვილის კარში, რასაც დეიან მილოვანოვიჩის გოლი მოჰყვა.

ეს მერე, თავიდან კი შემადგენლობები რომ ჩავიკითხეთ, იმედი მოგვეცა, რადგან სამი ფეხბურთელი — რევიშვილი, იმედაშვილი, მარცვალაძე — ეროვნული ნაკრებიდან დაამატეს. ეგაა, მარცვალაძე (რომელიც მარჯვენა ნახევარმცველად თამაშობდა) აშკარად ვერ იყო ფორმაში და იაშვილ-გელაშვილის თავდასხმის დუეტიც ვერ ირჯებოდა მწვავედ.

მე-19 წუთზე იყო, დრაგან მრდა შოთა კაშიას რომ გაეპარა და პირისპირ გასულმა რევიშვილს იოლად გაუტანა — 0:1.

სერბებმა უფრო უმატეს შეტევებს და ისეთ ტემპში თამაშობდნენ, პრემიერლიგა გეგონებოდათ — ქართველებიც ცდილობდნენ აჰყოლოდნენ, მაგრამ ხანდახან თუ ახერხებდნენ.

ტაიმის ბოლოს შოთა გრიგალაშვილმა აანერვიულა სერბთა მეკარე შორეული დარტყმით, მალევე გრიგალაშვილმა საჯარიმო ჩააწოდა და სანდრო იაშვილმა თავისი საფირმო თავური გაგვახსენა — 1:1. ეს ტაიმის ბოლო წუთზე მოხდა, მაგრამ...

ცენტრიდან აიწყვიტა კრასიჩმა, გზად ელიავა-ნავალოვსკი ჩამოიცილა და ბურთი თავზე დაასვა სტეფან ბაბოვიჩს — 1:2 და ტაიმიც აქ მორჩა. ერთი კია, მსაჯს შეეძლო, კრასიჩის გარღვევისას თამაში შეეჩერებინა, რადგან სერბმა იმ მომენტში ელიავას შემთხვევით იდაყვი გაჰკრა და შესაცვლელი გახადა.

მეორე ტაიმში ქართველები ბევრს ეცადნენ, მაგრამ გასატანი სერბებს უფრო ჰქონდათ ტემპი, ბურთის გათამაშება, დიაგონალური პასები — ეს ყველაფერი სტუმრებს ისე კარგად გამოსდიოდათ, ქართველები გონზე მოსვლასაც ვერ ასწრებდნენ.

მოკლედ, გაკვეთილი იყო, ნაღდი გაკვეთილი!

# geo_geo_fan@hotmail.com

**გულშემატკივართა რეაქცია ცოტათი უჩვეულო გამოდგა — 0:3 წაგების მერე არც ერთი წერილის ავტორი არ ამჟღავნებს თავის აღშფოთებას თუ აგრესიას. ეს კი ალბათ საფრანგეთის „ბრალია“. რეალობას ვერსად გავექცევით — ფრანგებს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ. ისე კი, არაკორექტული გვგონია, როცა ამ წაგებას კონკრეტულად რომელიმე ფეხბურთელს ან მწვრთნელს აბრალებ — ჩვენი აზრით, ეს ერთი ვინმეს კი არა, მთლიანად სიტუაციის ბრალია — დღეს საქართველო აშკარად არაა მზად საიმისოდ, რომ საფრანგეთის დარ გუნდებს თანაბრად ეთამაშოს...**

**MTADABARI**: სანქტ პეტერბურგის ქართველობა გამარჯვებას უსურვებს ჩვენს ნაკრებს. გვჯერა, დამარცხების სწორი ანალიზი გამარჯვების საწინდარი იქნება.

**GIO81**: ესეც ასე, რამხელა სხვაობა ყოფილა კლასსა და გამოცდილებაში. შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთმა ცალი ფეხით მოგვიგო. მართალია, მთლიანად ჩვენმა ნაკრებმა ვერ ითამაშა კარგად, მაგრამ მე მაინც ჭანტურიას დავაბრალებდი ამ წაგებას. რომ არა ის მართლაც სულელური და ბავშვური შეცდომები ჭანტურიასი, შეიძლება, გუნდი ასე არ გატეხილიყო თავიდანვე. საფრანგეთთან კი ეს შეცდომები დამღუპველია. პირველი გოლი როგორ გაუშვა, ოდნავაც არ გადამხტარა, ანალოგიური იყო მეორეც, მესამე კი მთლიანად მეკარისაა. ასათიანმა ისე ითამაშა მთლიანად თამაში, რომ ამ ავტოგოლს არ იმსახურებდა, მხოლოდ ერთხელ მიეცა წინ წასვლის საშუალება და მაშინაც მწვავე პასი გააკეთა. ასათიანს ნახევარდაცვაში რომ ეთამაშა, ალბათ, ცოტა სხვანაირი თამაში იქნებოდა. მხოლოდ არველაძე და გოგუაც ვერაფერს გახდნენ ამ მართლაც ბრწყინვალე გუნდთან. ამ წაგებას მხოლოდ მეკარეს არ ვაბრალებ, მაგრამ საფრანგეთი არაა ის გუნდი, ასეთი შეცდომების მერე ტოლ-სწორად ეთამაშო.

რაც არის, არის, ტრაგედია არ მომხდარა და ახლა ყურების ჩამოყრას აზრი არ აქვს, ვითამაშოთ ეს შესარჩევი ციკლი, მე იმედი მაქვს, რომ ამ ჯგუფში მესამე ადგილზე გავალთ და ამას ოთხშაბათს უკრაინაშიც დავამტკიცებთ, მერე გერმანიასთან ამხანაგური გველის, მერე იტალიასაც დავაკარგვინებთ ქულებს, მერე თურქეთთან ამხანაგური თამაში იქნება და დარწმუნებული ვარ, ჩვენი ნაკრები უკრაინას, შოტლანდიასაც და ლიტვასაც გაუსწრებს! დარწმუნებული ვარ, რომ ოთხშაბათის კიევური თამაში სულ სხვანაირი იქნება და მოვიგებთ. ერთი სათხოვარი მაქვს ფედერაციასთან: ამ შესარჩევის შედეგის მიუხედავად, დატოვეთ კლაუს ტოპმიოლერი! არსად არ გაუშვათ და, დარწმუნებული იყავით, რომ ამ შესარჩევში თუ არა, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს აუცილებლად მოვიგებთ! ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ ტოპმიოლერის თავკაცობით, ამაში დარწმუნებული ვარ! იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ მასზე კარგ მწვრთნელს ჩვენ ვერ მოვიყვანთ.

ახლაც თავში მიტრიალებს გუშინდელი შეცდომები... დარწმუნებული ვარ, სულელური გოლები რომ არა, უფრო სხვანაირად ვითამაშებდით. წინ საქართველო და ტოპმიოლერო! ჩვენ ერთი გუნდი ვართ!

**BOBAH-GEORGIAN**: სალამი „სარბიელს“! ეჰ... წავაგეთ, ისე წავაგეთ, რასაც უშანსოდ ჰქვია. არა, მონდომება იყო, მაგრამ ბრძოლა არ იყო. კლასით მოგვიგო საფრანგეთმა, ამ სიცხეში არც უმოძრავია დიდად და მაგალითად, ვიერა სულ ოფლიანი მაისურით რომ დარბის მოედანზე, ხომ ნახეთ, გუშინ თითქმის არც დასველებულა...

მოკლედ, შემადგენლობა რომ გავიგე, ეგრევე ცუდად გავხდი. ძალიან ვა-ბანკზე წავიდა კლაუსი, არადა, „რათა, რათა?!“

ჭანტურია მეკარეა, რომელსაც სიმაღლე არა აქვს, ამას არაფერი ეშველება, მაგრამ, მაპატიეთ, ლიპი რომ აქვს, სტადიონის ნებისმიერი სექტორიდან ჩანდა, ამას ხომ ტოპიც ხედავდა, ჰოდა, რად დააყენა კარში?! იმედია, აწი ჭანტურიას მხოლოდ „ზესტაფონის“ კარში ვნახავთ!!!

ანდა, ეს 3 თავდამხმელი... ასეთი ტაქტიკით და რისკით არავინ ეთამაშება საფრანგეთს, ჩვენ გარდა.

ადრეც ვამბობდი, რომ სუპერ თავდაცვითი ვარიანტი უნდა გვეთამაშა, მაგრამ იმედია, ბატონი კლაუსი შეცდომებს აღიარებს და ახლა მაინც ხვდება, რომ „ჩვენ ერთი გუნდი კი ვართ“, მაგრამ ძალიან, ძალიან საშუალო დონისა (იმედია, მხოლოდ ჯერჯერობით და მომავალი მაინც ჩვენია).

და კიდევ, გოგუა რომ დააყენა ბატონმა კლაუსმა რიბერის ფლანგზე, ხომ გვყავდა ალტერნატივა? მაშ, „რათა?!“ პასუხი მე პირადად არ მაქვს, არც ჩემ გარშემო მჯდომ ხალხს ჰქონდა... თქვენი პროფესიული აზრი მაინტერესებს, კი ფლანგიდან კი მოხსნეს გოგუა, მაგრამ უკვე გვიანი იყო... მოკლედ, კიდევ იმდენია გასაკეთებელი და დრო კი არაა.

სამ დღეში უკრაინაა და თხოვნა ბატონ კლაუსთან, უკრაინაში სუპერ თუ არა და, დაცვითი ვარიანტი გვათამაშეთ.

გუშინდელ თამაშს ძალიან დიდი გამოხმაურება ჰქონდა, ევროსპორტმაც გააშუქა ყველანაირად. ჰოდა, დაგვცინეს აშკარად. პრინციპში, დასაცინი ვართ კიდეც, კლაუსი ჯობია დომენკსო, ძალიან ხშირად მესმოდა, მეც ამ აზრის ვიყავი, მაგრამ გუშინ არ იყო მასე, კი დალაგებული გუნდია საფრანგეთი, თან ძალიან დალაგებული, მაგრამ ეს გუშინდელი წაგების მთავარი მიზეზი არაა... ჩვენ წავაგეთ იმიტომ, რომ ჩემი აზრით, მზად არ ვიყავით. ჩვენს ნაკრებს ვგულისხმობ, თორემ გულშემატკივრები ბოლომდე ვიდექით გუნდის გვერდით (ზოგიერთი იშვიათი გამონაკლისის გარდა, მაგრამ ახლა არ დავწვრილმანდები).

მოკლედ, დაკარგული არაფერია. საღოლ ლიტვას, ვნახე თამაში და სიტყვები არ მყოფნის, ეს გუნდი არაფრით გვჯობია, ერთის გარდა — გუნდია!!! ჩვენ კი ჯერ კიდევ ვაშენებთ... მინდა, ვისარგებლო თქვენი გაზეთით და ბატონ კლაუსს მისსავე ენაზე მივმართო (რაღაც დონეზე ვიცი ეს გერმანული და...): Herr Klaus, ich moechte ihnen etwas sagen. Sie sind sehr gut fussballtrainer, wir vertrauen ihnen. Aber, bitte sehr, lassen sie das... Lassen sie so viel versuchen. An die Ukraine unentschieden will fuer uns genug. Wissen sie: Genug das Guten! Lassen sie uns die hoffnung bis die spiel gegen Italienern!

ჩვენ ერთი გუნდი ვართ!!!

# საქართველო უჯავშნოდ იყო

## ეს ჯავშანი კი საკუთარი თავის რწმენაა



# ტოპმიოლერის ფსიქოანალიზი: ამხელა პატივისცემა არ შეიძლება!

**საფრანგეთთან მატჩმა უკვე ჩაიარა და საინტერესოა, რას ფიქრობს, რას უჩივის და რას აპირებს საქართველოს ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი. ჩვენი ეროვნული გუნდის გერმანელ მწვრთნელს ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ ვესტუმრეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ...**

**— ახლა, ცივ გონებაზე, რას იტყვით გუშინდელ მატჩზე?**

— პირველი, რამაც გამაოცა და უდიდესი სიამაყით ამავსო, ტრიბუნები იყო. როდესაც ამდენი ხალხი ერთსულოვნად გიჭერს მხარს, ეს ძალიან დიდი სტიმულია. მაგრამ რაც შეეხება თამაშს, ზოგადად ვიტყვი, რომ ნაკრებები ერთად უნდა გაიზარდონ. ფრანგები და უკვე 13-14 წლის ასაკიდან ემზადებიან ნაკრებში სათამაშოდ. ჩვენ კი... როცა 23 წლისა დაიწყებ ნაკრებში თამაშს, უკვე გვიანია. გუშინაც კარგად ჩანდა, რამხელა მნიშვნელობა აქვს ამას. ფრანგები დიდი ხანია, ფეხბურთის განვითარებაზე ზრუნავენ, მათ მოთამაშეებს აქვთ ტექნიკა, რაც ნაწილობრივ ქართველებსაც აქვთ, მაგრამ გამოხატვის ფორმაში მოიკოჭლებენ. ბევრი მუშაობა მოგვიწევს პოზიციური თამაშის სწავლაზეც. დღეს რამდენიმე საათი ვაანალიზებდით გუშინდელი თამაშის ჩანაწერს, სადაც ნათლად ჩანს, რომ ფეხბურთელები, რომელთა იმედიც გვქონდა, ბევრ შეცდომას უშვებენ.

...დიდ ყურადღებას ვაქცევდით სტანდარტულ მდგომარეობებს, მაგრამ აქ მაინც ბლომად იყო შეცდომები. რა თქმა უნდა, ფრანგებსაც ჰქონდათ ჩვენი თამაში შესწავლილი — კობიაშვილის წინააღმდეგ წარმატებულად თამაშობდა ვიეირა, ასათიანის წინააღმდეგ ტურამი... მათ კარგად ჰქონდათ პოზიციები განაწილებული. მათი თამაშის სქემაც საკმაოდ ხელსაყრელი იყო — ეს ის სქემაა, რომლის გამოყენებაც ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ სანახევროდ თუ შეგვიძლია.

...დღეს ბევრი ვისაუბრე ბიჭებთან ამ თემაზე. ვეცადე, კვლავ ჩამენერგა მათთვის საკუთარი თავის რწმენა, რაც აუცილებელია უკრაინასთან თამაშის წინ. მომავალი მეტოქე ჩვენზე ცოტათი უკეთესი გუნდია, მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეა, მაგრამ ჩვენ იქიდან უქულოდ არ უნდა დავბრუნდეთ, რადგანაც ეს აუცილებელია იტალიასთან თამაშის წინ. მომავალი წლისთვის ხომ ბიჭებს საოცნებო უნდა ჰქონდეთ?! დიახ საოცნებო, რადგანაც ამ ჯგუფიდან გასვლა ძალიან ძნელია...

ფრანგებთან სამწუხარო იყო ისიც, რომ ვერ ითამაშა კალაძემ — იგი გუნდის სტაბილიზატორი და უდიდესი სტიმულია.

**— ყველაზე მეტად რა არ მოგეწონათ ჩვენი გუნდის თამაშში?**

— ფეხბურთელებს საკუთარი თავის რწმენა არ ჰქონდათ. პირველივე წუთიდან ჩანდა, რომ მათ იმაზე მეტი პატივისცემა ჰქონდათ ფრანგების მიმართ, რაც საერთოდ მოწინააღმდეგის მიმართ უნდა ჰქონოდათ. ეს თამაშის მერეც გამოჩნდა, როცა ჩვენებმა ფრანგებს ლამის მაისურები შემოახიეს — ეს ყველაფერზე მეტყველებს. თამაშში აუცილებელია ნაკლები რიდი და პატივისცემა და მეტი ბრძოლისუნარიანობა. ვფიქრობდი, რომ უფრო აგრესიული თამაში იქნებოდა. არადა, პოზიციების შერჩევისას სულელური შეცდომები დავუშვით. ასეთი შეცდომები ფარერების წინააღმდეგ არ ყოფილა. რატომ? იმიტომ, რომ ესენი ფრანგები იყვნენ?

**— ფაქტია, რომ საქართველოს ნაკრებს მეკარის პრობლემა აქვს. უცხოელი მეკარის ჩამოყვანაზე არც ახლა ფიქრობთ?**

— დიდი ხანი ვფიქრობდით, თუ ვინ დაგვეყენებინა კარში. ერთი კვირა ვაკვირდებოდი მეკარეების ვარჯიშს, მეკარეების მწვრთნელსაც გამოვკითხე აზრი, მაგრამ გამოგიტყდებით და, ვერც ერთ მათგანში თამაშის სურვილი ვერ დავინახე. თამაშის დილამდე არ იყო გადაწყვეტილი, ვინ დადგებოდა კარში. საბოლოოდ კი გავაკეთეთ ის არჩევანი, რომელმაც არ გაამართლა. დღეს თამაშის გარჩევისასაც ცხადად დავინახეთ, რომ სამივე გოლი ფრანგებს ვაჩუქეთ.

...ჯერჯერობით ვაპირებ, ყველა ქართველ მეკარეს მივცე შანსი და იქნებ რომელიმეში დავინახო ის, რაც ეროვნული ნაკრებისთვისაა საჭირო. ლომაიასა და რევიშვილზე დიდ იმედებს ვამყარებ და უახლოეს თამაშებში მათ გამოცდასაც ვაპირებ. რაც შეეხება ჭანტურიას, მან ჩემი იმედები გააცრუა, მაგრამ როგორც ყველა ადამიანი, ისიც იმსახურებს კიდევ ერთ შანსს და ამას აუცილებლად მიიღებს. საფრანგეთთან თამაში ჭანტურიასთვის უდიდესი გამოცდა იყო და თუ ამას თავს გაართმევდა, უკრაინაშიც იგი წამოვიდოდა, მაგრამ...

**— ელოდით, ჩვენსა და ფრანგებს შორის კლასში ამხელა სხვაობას?**

— ეს ცხადი იყო. საფრანგეთმა და იტალიამ გერმანიაში დაამტკიცეს, რომ მსოფლიოში საუკეთესონი არიან. ჩვენ კი ძალიან ბევრი გვაქვს სასწავლი.

**— 4-3-3 სქემა ძალიან გიყვართ და როგორ ფიქრობთ, შეუძლია საქართველოს ნაკრებს ამ სქემის ათვისება?**

— ამაზე მუშაობას ვაგრძელებთ. ამ ცოტა ხანში ბევრი რამ შევძელით. ნაკრებთან სამუშაოდ ყოველთვის ძალიან ცოტა დრო გვაქვს. მადლობა ღმერთს, ამ ჯერზე ერთი კვირა მაინც გვქონდა, არადა, ოთხ კვირაზე უარს ნამდვილად არ ვიტყოდი და მიმაჩნია, რომ ეს ძალიან საჭიროა წინსვლისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია.

**— გუნდი გულგატეხილი ხომ არ არის?**

— არა. ჩვენ ყველამ კარგად ვიცოდით, რა ძლიერი მეტოქეც იყო საფრანგეთი. რაც შეეხება საკუთარი თავის რწმენის ჩანერგვას, ამაზე ბევრს ვმუშაობთ. უკრაინასთან ქულა გვჭირდება და, თუ ამას შევძლებთ, იტალიას უფრო თავდაჯერებულნი დავხვდებით. თან ამ გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს, რაც უნდა გამოვიყენოთ. ბიჭებს წინა კვირაშიც ვუთხარი, რომ ამ გუნდში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. და კიდევ, ოქტომბრამდე დრო გვაქვს, რათა იტალიის ნაკრებს დავაკვირდეთ და შევისწავლოთ.

**— უკრაინასთან შემადგენლობაში ბევრი ცვლილება იქნება?**

— რა თქმა უნდა, უკრაინაში ბევრი ახალი მოთამაშე იქნება. ცვლილებებს ვგეგმავთ, მაგრამ ბოლომდე ჩამოყალიბებულები ჯერ არ ვართ.

**— საქართველოს ნაკრებში მუშაობისას რა არის ყველაზე დიდი პრობლემა თქვენთვის?**

— თუკი მეკარეს არ ჩავთვლით, მაშინ უდიდეს პრობლემად თავდაჯერებულობის არქონა უნდა ჩავთვალოთ. ასევე პრობლემაა ტრავმიანობა. იმედია, კალაძე შემდეგი თამაშებისთვის გამოჯანმრთელდება. ძალიან მინდა, მსოფლიოს ჩემპიონ იტალიის და გერმანიის წინააღმდეგ საუკეთესო შემადგენლობით ვითამაშო.

**— უკრაინასთან მატჩის წინ ქართველ ქომაგს რას ეტყვით?**

— ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ არ წავაგოთ და ღირსეულად მოვემზადოთ მსოფლიოს ჩემპიონების დასახვედრად. და კიდევ: მინდა ქომაგებს უდიდესი მადლობა ვუთხრა მხარდაჭერისთვის.

**ნინო სილაგაძე**

---

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და
მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტი
თანაგრძნობას უცხადებს ეროვნული
კატეგორიის მსაჯს არსენ ნონიკაშვილს
**დედის**
გარდაცვალების გამო

## 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

# რევიზია

## ფრანგებმა დიდი დანაკლისი აღმოგვიჩინეს



თბილისი. 2 სექტემბერი. 20 საათი. ეროვნული. 56 000 (ტევადობა 56 000)

### საქართველო 0:3 საფრანგეთი

| | |
|---|---|
| 0:1 მალუდა (7), 0:2 საა (16), 0:3 ასათიანი (47ს.კ.) | |
| საქართველო: ჭანტურია, ხიზანიშვილი, ასათიანი, ალადაშვილი (კანდელაკი 39), გოგუა, კობიაშვილი, კანკავა, იაშვილი (კვირკველია 46), მუჯირი (მენთეშაშვილი 82), დემეტრაძე, არველაძე; *სათადარიგონი:* ლომაია; იონანიძე, აშვეთია, შაშიაშვილი; მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი | საფრანგეთი: კუპე, სანიოლი, ტურამი, გალასი, აბიდალი, ვიეირა, მაკელელე (მავუბა 58), რიბერი (გოვუ 69), მალუდა, საა (ვილტორდი 86), ანრი; *სათადარიგონი:* ლანდრო; ბუმსონგი, კლერკი, ჟივე; მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი |
| გაფრთხილება: კობიაშვილი (11), კანკავა (45), გოგუა (52), დემეტრაძე (81) | |
| მსაჯები: ი. ვიგერეეფი, ი. მაინტსი, ვ. რუტგერსი, ბ. კუიპერსი (ყველა ჰოლანდია) | |

კობა ინასარიძე

...**მატჩის** შემდეგ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი იტყვის: „მწვრთნელები მატჩის წინ მთელი ღამე ვფიქრობდით, ვისთვის მიგვენდო კარი. ყველაფერი ავწონ-დავწონეთ და გადავწყვიტეთ, კარში გრიგოლ ჭანტურია დაგვეყენებინა. ფსიქოლოგიურად მძიმე მატჩი იქნებოდა და ვიფიქრეთ, რომ ჭანტურიას უფრო მტკიცე ნერვები აღმოაჩნდებოდა."

ძნელია და ალბათ სწორიც არ იქნება, უმაღლესი დონის მეტოქესთან წაგების ჯოხი მხოლოდ მეკარეზე გადატეხო, მაგრამ არც იმის უთქმელობა იქნება, რომ საქართველოს ნაკრებს სწორედ მეკარის უხეში შეცდომები დაუჯდა ძალიან ძვირად.

არადა, რა მოუთმენლად, რამდენი ხანი ველოდით ამ შეხვედრას, რომელიც... 16 წუთში მორჩა. 16 წუთის მერე უკვე წარმოუდგენელი იყო, რომ საქართველო რაიმე სახეირო შედეგს გამოჰკრავდა ხელს. საქართველო საქართველოდ და, ასეთი დასაწყისის შემდეგ თავად საფრანგეთი და მისი ტოლსწორი გუნდები რჩებიან ხოლმე უშანსოდ. მით უფრო უშანსო ხარ მაშინ, როცა ორბურთიანი სხვაობით აგებ და მეორე ტაიმის დასაწყისშივე სრულიად უვნებელ სიტუაციაში მესამე გოლსაც უშვებ და მერე საერთოდ აღარ იცი, რა აკეთო.

ვერ ვიტყვით, რომ კლაუს ტოპმიოლერმა გუნდს ავანტიურული ფეხბურთი ათამაშა, მაგრამ ტაქტიკურად ისე დაალაგა გუნდი, როგორც ყოველთვის, ანუ მუდმივი შეტევებისთვის გამზადებული. შოთა არველაძე ცენტრფორვარდი, გიორგი დემეტრაძე და ალექსანდრე იაშვილი კი ფლანგებზე. ორივე ამ თავდამსხმელს ფლანგებიც უნდა გადაეკეტა და შეეტია კიდეც. სამი შუა ნახევარმცველი — ლევან კობიაშვილი, ჯაბა კანკავა, დავით მუჯირი და ოთხი მცველიც, რომელთაგან ერთმა, გოგიტა გოგუამ მარცხენა მცველად კარიერაში ალბათ პირველად ითამაშა. მისთვის პოზიციის შეცვლა მაინცდამაინც არც გაგვკვირვებია — ხისტი გოგუა ტომპიოლერმა ფრანგთა სხარტი და ტექნიკური ფრანკ რიბერის წინააღმდეგ დააყენა და ვინ იცის, საწყისი გოლები რომ არა, გოგუა რიბერის როგორ გაუმკლავდებოდა. არადა, ჩვენიანმა ფრანგს პირველსავე წუთზე აგრძნობინა, კოჭებს გაფრთხილებოდა. მეტოქის დასაშინებლად ეგებ ესაც ერთგვარი ფანდი ყოფილიყო.

გოგუამ რომ რიბერის დასაწყისშივე მიარტყა, მერე საფრანგეთს სახიფათო დარტყმითაც დაემუქრა, სტუმრებს ბურთი მათთსავე ნახევარზე ჩაუჭრა და მაშინვე კარისკენ გაიხედა — დარტყმა უზუსტო გამოდგა.

ასეთი ორი წუთი მივიღეთ ჩვენებისგან და კარგი თამაშის სანახავად განვეწყვეთ, როცა სავსე „ეროვნული" მყისიერად დადუმდა. ვიეირა-რიბერის გათამაშებული ბურთი ფლორენ მალუდამ ზედ საჯარიმოს წინ მიიღო, ჩვენებმა მის დარტყმულზე დაფარება დააგვიანეს, მგონი, ეს არც უცდიათ და კარის კუთხისკენ წასულ ბურთს ვერც ჭანტურია მისწვდა — 0:1. ხუთ-ექვს წუთში კი საქართველო გადარჩა — ტიერი ანრიმ მარცხნიდან შეუტია ჩვენებს, ბურთი ვიეირას დაუგორა, ხოლო მისი გაგრძელებული რიბერის თავში მოხვდა და კარს ასცდა.

საქართველომ თამაში ვერა და ვერ ააწყო. შუა მოედანს მთლიანად ფრანგები აკონტროლებდნენ, მცველებამდე ბურთი არც აღწევდა. ვიეირა, მალუდა, მაკელელე და რიბერი ჩვენებს საჯარიმოსთან მიახლოებას არ ანებებდნენ. ხოლო როცა მასპინძლებმა გრეგორი კუპეს კარის შორიახლოს ბურთი გააგორეს, სტუმრებმა კონტრშეტევა წამოიწყეს. ვერცხლისწყალივით მოძრავმა რიბერიმ ბურთიანად შუისკენ შეიწია და დანარჩენი ლუი საამ გააგრძელა — საჯარიმოში მარცხნიდან შეჭრილი მანჩესტერელი ფორვარდის შორეული კუთხიკენ დარტყმულ ბურთს ჭანტურიამ ხელი კი გაჰკრა, მაგრამ ამაოდ... არბიტრს იქვე შეეძლო დაესტვინა და თამაში დაემთავრებინა. ეს იყო ის 16 წუთი, როცა გასარკვევი გაირკვა — სამწუხაროდ, საქართველო უქულოდ დარჩა.

ტაიმის დამთავრებამდე დარჩენილ ნახევარსაათში ქართველმა ქომაგობამ ერთხელაც იხუვლა — კახა ალადაშვილმა მარჯვნიდან ჩააწოდა, შოთა არველაძემ ნახტომში თავური დაარტყა და ბურთმა ძელს ჩაუქროლა. სხვაობის შესამცირებლად მართლაც ჩინებული შანსი იყო.

დაცვის ცენტრში გონივრულად მოთამაშე მალხაზ ასათიანთან და კბილებით მებრძოლ გოგიტა გოგუასთან ერთად შოთა არველაძე შაბათს ჩვენებში ერთ-ერთი გამორჩეული იყო. დანარჩენებიც ძალიან მონდომებულები ჩანდნენ, მაგრამ თამაში აშკარად არ გამოუვიდათ და ამის საშუალება არც ვარსკვლავმა ფრანგებმა მისცეს. მასპინძლები ცოტა დაბნეულებიც იყვნენ და ტაიმის ბოლოსკენ ერთხელაც შევშინდით — ჭანტურიამ და ზურაბ ხიზანიშვილმა ერთმანეთს ვერ გაუგეს, კარისკენ ზურგით მდგარმა მცველმა ბურთი თავით მეკარეს დაუბრუნა, მეკარე კი ამ დროს წინ იყო გამოსული — ბედად, ბურთი კარში არ წასულა.

მერე ერთხელაც ისევ ასათიანმა გადაარჩინა გუნდი. მან ანრის არ დაანება ორიოდ მეტრიდან დარტყმა, ფეხებში ჩაუხტა და ნაღდი საგოლე ვითარება განმუხტა.

გაშვებული გოლების შემდეგ თამაში ისე გაგრძელდა, თითქოს ერთი და იგივე კადრი ტრიალებსო. ათასჯერ გამეორება კი ცოტა მოსაწყენიც არის ხოლმე.

შესვენებამდე კლაუს ტოპმიოლერმა მარჯვენა მცველი კახა ალადაშვილი ილია კანდელაკით შეცვალა, გოგუა მარჯვნივ გადასწია, ხოლო კანდელაკს მარცხენა მხარე მიანდო. ამის შემდეგ ჩვენებმა ცოტა ამოისუნთქეს, მაგრამ თამაში მაინც ვერ დაალაგეს. შესვენებისას კი მწვრთნელმა მეორე შეცვლაც გააკეთა — ალექსანდრე იაშვილს დავით კვირკველია ჩაანაცვლა.

შეცვლების შემდეგ ჩვენებმა თამაში ცოტა გამოაცოცხლეს. მატჩი მასპინძლებმა თითქოს რიხით განაახლეს და ჩვენც რაღაც იმედი კიდევ გაგვიჩნდა. თუმცა... ეს იმედი მაშინვე მოკვდა — ვილი სანიოლმა ცენტრის ხაზის კიდიდან საჯარიმოსკენ ჩააწოდა, ანრი ბურთის შორიახლოს იყო, სხვა ფრანგი იმ მიდამოებში არავინ ჩანდა. ბურთი კი მაინც საქართველოს კარში აღმოჩნდა. ჭანტურიამ და ამჯერად ასათიანმა ვერ გაუგეს ერთმანეთს, მცველს ბურთი ფეხიდან აეჭრა, ხოლო მეკარე ისევ წინ იყო — 0:3.

როგორ უნდა გადაარჩინო თამაში, როცა ორ გოლს საწყის 16





პირველი ორი გოლი ფრანკ რიბერის წამოწყებულ შეტევებს მოჰყვა

SLOT POKER CLUB VEGA

# საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT






წუთში მიილებ, მესამეს კი მეორე ტაიმის მეორე წუთზე?! მეტოქე საფრანგეთია, შენ — საქართველო.

თავად მაინც მჯერა, რომ საქართველო სულ სხვა ფეხბურთს ითამაშებდა და ეგებ არც წაეგო, ის ავადსახსენებელი 16 წუთი რომ სხვანაირი გამომდგარიყო. ახლა კი გამოჩნდა და ალბათ ასეც არის — საქართველოს ნაკრებისთვის თბილისში სხვას არავის ისე არ უჯობნია, როგორც საფრანგეთს. მეორე უკიდურესობა ისაა, რომ თბილისში ჩამოსულ ერთად აღებულ ყველა გრანდთან საქართველოს იმდენი ნაღდი საგოლე მომენტი არ შეუქმნია, რამდენიც სწორედ საფრანგეთთან.

ერთი გოლის გაქვითვა მასპინძლებს ავტოგოლიდან წუთშივე შეეძლოთ, მაგრამ სტუმართა მეკარემ რაღაც წარმოუდგენელი რეაქციით გიორგი დემეტრაძის ოთხიხუთი მეტრიდან დარტყმული მოიგერია. კვირკველია მარცხენა ფლანგიდან შექანდა ფრანგების საჯარიმოში, გზად ჯერ სანიოლი, შემდეგ ტურამი ჩამოიშორა და კარის წინ ბურთი დაბალზე გაუშვა. დემეტრაძემ კორპუსი ჩადგა, ორი მცველი ჩამოიშორა და კუპეს მოძრაობის საპირისპიროდ დაურტყა. ფაბიენ ბარტეზის მუდამ სათადარიგო კუპემ აუღებელი აიღო.

რამდენიმე წუთში ლევან კობიაშვილმა და დავით მუჯირმაც ძალიან სახიფათოდ დაარტყეს, მაგრამ მიზანში ვერ მოარტყეს.

მატჩის დამთავრებამდე ოცი წუთით ადრე თამაში ისევ ისე გაგრძელდა, როგორც პირველი ტაიმი ჩამთავრდა: ფრანგები ბურთს მოედნის შუაში აკონტროლებდნენ, ხოლო ჩვენები შეტევას ველარ ახერხებდნენ.

ამ დროს ჩვენი სტადიონებისთვის უჩვეულო ამბავი მოხდა. თუ არ ვცდები, პირველად საქართველოში ასეთი დონის მატჩისას მოედანზე ქართველი სტრაიკერი შეიჭრა. ის სამხრეთი ტრიბუნიდან ჩახტა და პირდაპირ ტიერი ანრისკენ გაქანდა, ჩაეხუტა და იქვე მოედანზე წამოწვა. ანრის, აბა, რა გააკვირვებდა, მომხდური კი პოლიციამ სულ ფორთხვაფორთხვით გაარიდა მოედანს.

თამაშის ბოლომდე ბევრიც არაფერი რჩებოდა და საქართველოს ნაკრებს იღბალმა ერთხელაც უმტყუნა. დაახლოებით 25 მეტრიდან გიორგი დემეტრაძემ საჯარიმო დაარტყა — ბურთი ხარიხას მოხვდა. ეს კიდევ ერთი საგოლე შანსი იყო...

ამ თამაშის წაგებით არც არაფერი დამთავრებულა და არც დიდი მოულოდნელობა მომხდარა. შესარჩევ ჯგუფში ჩვენს გუნდს წინ კიდევ 10 შეხვედრა აქვს, უახლოესი ზეგ კიევში, უკრაინასთან. ტოპმიოლერი კი ამბობს, რომ ჩვენების საუკრაინო ძირითადი შემადგენლობა შაბათის მატჩისგან განსხვავებული იქნება. ვიმედოვნოთ, შეცვლილ შემადგენლობასთან ერთად საქართველოს ნაკრების უკეთესობისკენ შეცვლილ თამაშსაც ვნახავთ...


უილიამ გალასმა შოთა არველაძეს ბოლოწამს ააცალა ბურთი


მალხაზ ასათიანის დრამა

## ნაკრები უკრაინაში, ქინქლაძე შვეიცარიაში

**ზეგ** საქართველოს ნაკრები კიევის „ოლიმპიისკიზე“ უკრაინას ეთამაშება. საამმატჩოდ კლაუს ტოპმიოლერმა უკვე გამოძახებული შემადგენლობა შესაძლოა მცირედ შეცვალოს და კიევში ახალი ფეხბურთელი ან ფეხბურთელები წაიყვანოს. მით უმეტეს, რომ ტრავმების გამო საქართველოს ნაკრებს დააკლდებიან კახა კალაძე, ლაშა ჯაკობია და გიორგი ქინქლაძე. კალაძისა და ჯაკობიას თამაში თუ საფრანგეთთანაც გამორიცხული იყო, ქინქლაძეს ზედ ფრანგებთან მატჩის წინ გაუმიზეზდა საზარდულის ტრავმა და მწვრთნელისთვის თავად უთქვამს, თამაშს ვერ შევძლებო. ტოპმიოლერის თქმით, ქინქლაძე 9 სექტემბერს შვეიცარიაში გაემგზავრება და იქაურ ექიმთან იმკურნალებს.

ეროვნული გუნდი კიევში დღეს ჩარტერული რეისით მიემგზავრება. გუნდთან ერთად უკრაინაში ქომაგებიც მიფრინავენ და თუ ამ მატჩისადმი იქაური ქართველობის ინტერესსაც გავითვალისწინებთ, „ოლიმპიისკის“ ტრიბუნაზე რამდენიმე ასეულმა ქართველმა უნდა მოიყაროს თავი.

უკრაინა — საქართველო ოთხშაბათს ჩვენი დროით 20 საათზე დაიწყება.

ლუკა თალაკვაძე

# 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

## დონადონის დონდლო სტარტი

**იტალია 1:1 ლიტვა**

0:1 დანილიავიჩიუსი (21), 1:1 ინძაგი (30)
**იტალია:** ბუფონი, ოდო, კანავარო, ბარძალი, გროსო, პირლო, დე როსი (მარკიონი 61), გატუზო, პეროტა (ჯილარდინო 72), კასანო, ინძაგი (დი მიკელე 86)
**მწვრთნელი:** რობერტო დონადონი
**ლიტვა:** კარჩემარსკასი, სტანკევიჩიუსი, ჯიაუკშტასი, შკერლა, პრეიკშაიტისი, ჟვირგჟდაუსკასი, სავენასი (კალონასი 65), მიკოლიუნასი (ტიმოშაუსკასი 82), დ. ჩესნაუსკისი, პოშკუსი (ლაბუკასი 79), დანილიავიჩიუსი
**მწვრთნელი:** ალგიმანტას ლიუბინსკასი
**გაფრთხილება:** ჯიაუკშტასი, პეროტა, კარჩემარსკასი, გატუზო



**წარმოგვიდგენია,** როგორი ამაყია ახლა ლიტველი ხალხი. ფრე მსოფლიოს ჩემპიონებთან, ისიც სტუმრად — მგონი, ეს ზღაპარზე მეტიცაა... იტალიას ისტორიულად სჩვევია მოკრძალებულ გუნდებთან წაფორხილება, მით უმეტეს, ახალი მწვრთნელი ჰყავს და შესარჩევი ციკლის რიყრაჟია, მაგრამ მაინც ქებათა ქება ბალტიისპირელებს.

რობერტო დონადონიმ იდეალურთან მიახლოებული შემადგენლობა დაახვედრა „მწვანე-ყვითლებს". ნამუნდიალევი ძირითადი თერთმეტეულიდან „სკუადრას" მარკო მატერაცი, მაურო კამორანეზი, ფრანჩესკო ტოტი და ჯანლუკა ძამბროტა აკლდა, თუმცა მათ პოზიციებზე არანაკლებ ძლიერმა ფეხბურთელებმა ითამაშეს — ისეთებმა, ლიტვა თითქოს ნუგბარივით რომ უნდა შეეხრამუნებინათ, თუმცა...

„შედეგით გაწბილებული კი ვარ, თუმცა ბიჭებს არ ვაგრძნობინე და ვუთხარი, რომ კარგად ითამაშეს. არ გაგვიმართლა, მაგრამ ჩემს გუნდს მომავალი ნაღდად აქვს და ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ჩვენი ვერმოგების მთავარი მიზეზი კი ლიტველთა ყოჩაღობაა, ისინი შესანიშნავები იყვნენ და საწყის ოც წუთში გვჯობდნენ კიდეც" — განაცხადა ნამატჩევს დონადონიმ.

საწყისი 20 წუთი მართლაც კოშმარი იყო „სკუადრასთვის", რობერტას პოშკუსმა და შაულიუს მიკოლიუნასმა ორჯერ დაამტკიცებინეს ბუფონს „ბუფონობა" და იტალია ბეწვზე გადარჩა. აი, 21-ე წუთზე კი დეივიდას ჩესნაუსკისის მწვავე პასის შემდეგ ტომას დანილიავიჩიუსმა ერთი შეხებით გაიტანა — 0:1! ჰო, დანილიავიჩიუსი სერია B-ს „აველინოს" ბომბარდირია.

ლიტველები ცოტა ხანს იგებდნენ, 30-ე წუთზე ანტონიო კასანომ ფილიპო ინძაგის უპასა და 1:1 გახდა. ნეაპოლის „სან პაულუ" სტუმრების დაშლა-დაქუცმაცებისთვის გაემზადა, მაგრამ ვინ მიართვათ — ბალტიისპირელები ბურთსაც ხშირად ფლობდნენ და ბუფონს კიდევ ერთხელ რომ არ ევაჟკაცა, პოშკუსი გასატანად მზად იყო.

მხოლოდ შეხვედრის მიწურულს დაიშტურმნენ სტუმრები — კასანოს ორჯერ გაუცუდდა მომენტი, ერთხელ კი ანდრეა პირლოს დარტყმას ჩაუწვნენ მცველები.

სხვათა შორის, პირველი შემთხვევა არაა, ბალტიისპირელები ქულებს რომ სცანცლიან ბობოლებს — თქმა არ უნდა, ოთხშაბათს შოტლანდიას ლიუბინსკასის ბიჭებთან შეფუცხუნება ელის. აი, იმავ საოთხშაბათო მუნდიალის ფინალის გამეორება კი, ღდა, რა იქნება...

**ილია ნანოგაშვილი**

**შოტლანდია 6:0 ფარერები**

1:0 ფლეტჩერი (7), 2:0 მაკფადენი (10), 3:0 ბოიდი (23პ), 4:0 მილერი (30პ), 5:0 ბოიდი (38), 6:0 ოკონორი (85)
**შოტლანდია:** გორდონი, დეილი, ვეირი, პრესლი, ნეისმიტი, ფლეტჩერი (ტილი 46), ჰარტლი, ქვოში (სევერინი 85), მილერი (ოკონორი 62), ბოიდი, მაკფადენი
**მწვრთნელი:** უოლტერ სმიტი
**ფარერები:** მიკელსენი, ჰანსენი, იოჰანსენი, დანიელსენი, იონსენი, ბენიამინსენი, იონსონი (სამუელსონი 76), ბორგი, ფრედრიკსბერგი (ტორლეიფსონი 60), კ. იაკობსენი, რ. იაკობსენი (ნილსენი 54)
**მწვრთნელი:** მარტინ ოლსენი
**გაფრთხილება:** ბორგი, ფლეტჩერი, ბენიამინსენი, მილერი, ფრედრიკსბერგი, იოჰანსენი

## ფარერელები ვერ თევზაობენ

**მეთევზეობით** ცნობილი ფარერელები წინა შესარჩევ ციკლებში ქულებზე ასე თუ ისე თევზაობდნენ, რამდენიმე საშუალო დონის ნაკრები წამოუგიათ კიდეც ანკესებზე და მათ შორის შოტლანდიაც... ახლა კი ისე დაჩაჩანაკებულან კუნძულელები, 0:6-ზე ნაკლებს ცოცხალი თავით არ აგებენ.

სქოთებმა საქართველოს მიბაძეს და გამოწერილი „შაში" მიართვეს მარტინ ოლსენის გუნდს, თანაც პირველი ტაიმის შემდეგ უკვე ხუთბურთიანი მარაგი ჰქონდათ და მეორეში იმდენი მომენტი გაანიავეს, ორნიშნა ციფრამდე ასასვლელად ნაღდად უნდა ჰყოფნოდათ.

ფარერელთა ცოდვა კენი მილერმა დაიდო, რომელმაც პირველ 10 წუთში ჯერ „მანჩესტერ იუნაიტედის" დარენ ფლეტჩერს, მერე კი „ევერტონის" ჯეიმს მაკფადენს გაატანინა. ტაიმის შუაწელს ექვსწუთიან მონაკვეთში საწყალ მიკელსენს ორჯერ დაურტყეს პენალტი — კრის ბოიდმაც და კენი მილერმაც ზუსტად შეასრულეს და ტაიმის ბოლოს იმავ ბოიდმა მეხუთედ წამოახტუნა ფეხზე „სელტიკ პარკი".

გლაზგოური გოლთაცვენა კარგა ხანს შეწყვეტილი იყო, სტუმრები ბევრჯერ გადარჩნენ, მაგრამ, ეტყობა, შეცვლაზე შესულ გარი ოკონორს ძალიან უნდოდა გატანა და 85-ე წუთზე მეექვსე გამოაცხო.

**ილია ნანოგაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 3 |
| საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 6:3 | 3 |
| საფრანგეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ლიტვა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| იტალია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| უკრაინა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ფარერები | 2 | 0 | 0 | 2 | 0:12 | 0 |

6 სექტემბერი
**უკრაინა — საქართველო**
**საფრანგეთი — იტალია**
**ლიტვა — შოტლანდია**

## ბლოხინს ცუდი სუნი ეცა

### დასვენებული უკრაინა საქართველოს დაუგვიანებელი შევჩენკოთი შეუტევს

ჩვენი მომავალი მეტოქე უკრაინა გუშინწინ კიევის ცსკა-ს გაეჯიბრა ამხანაგურად და 5:1 მოუგო. სხვათა შორის, წინა შესარჩევი ციკლიც უკრაინელებმა არმიელებთან სპარინგით დაიწყეს...



ოლეგ ბლოხინმა გუნდი ორი შემადგენლობით ათამაშა. პირველი ტაიმი: *შოვკოვსკი, ნესმაჩნი, რუსოლი, ეზერსკი, ტკაჩენკო, გუსევი, ტიმოშჩუკი, რებროვი, ნაზარენკო, კალინიჩენკო, შევჩენკო.* მეორე ტაიმი: *კერნოზენკო, სვიდერსკი, რუსოლი, გუსინი, ტკაჩენკო, შელაევი, როტანი, რიკუნი, ვორობეი, ვორონინი, ბელიკი.*

თავიდან ცსკა დაწინაურდა — 28-ე წუთზე იალინსკიმ პენალტით იხეირა, თუმცა მერე უკრაინის ნაკრებმა გაილაღა და გუსევმა, შევჩენკომ, ბელიკმა და ვორობეიმ (2) ხუთჯერ გაილაღეს. ამის გარდა, ანდრეი შევჩენკომ, ვის თამაშსაც უკრაინელი ჟურნალისტები საეჭვოდ მიიჩნევდნენ, თუმც ეს ინფორმაცია არ გამართლდა, პენალტი გააფუჭა.

უკრაინელთა თავკაცმა *ოლეგ ბლოხინმა* კი ამ მატჩამდე პრესკონფერენცია გამართა და ჩვენთვის საინტერესო თემებზე ისაუბრა...

**— ითქვა, რომ მილევსკი და კუჩერი საქართველოსთან ვერ ითამაშებდნენ. სხვა საკადრო პრობლემებიც ხომ არ გაქვთ?**

— სხვა მხრივ არაფერს ვუჩივით. მილევსკი ჯერ კიდევ მაშინ დაშავდა, როცა კიევის „დინამო" თურქეთში „ფენერბაჰჩესთან" სათამაშოდ ჩავიდა. აი, კუჩერი საერთოდ რაღას მიდიოდა შეკრებაზე, ვერ გავიგე — თავიდანვე ცხადი იყო, რომ ის თამაშს ვერ შეძლებდა. ამ დანაკლისის მიუხედავად, შემცვლელებს არ გამოვიძახებთ. საქართველოსთან თამაშისთვის ოცი ფეხბურთელი ემზადება და ყველანი ნორმალურ ფორმაში არიან. არ ვიცი, საიდან გაჩნდა ცნობა, თითქოს შევჩენკომ ჩამოსვლა დააგვიანა — ანდრეი დროულად შემოგვიერთდა და გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

**— თქვენი თანაშემწეები მეტოქეთა თამაშებზე გაუშვით?**

— ვერემეევი იყო თბილისში საქართველო — საფრანგეთის მატჩზე, იქიდან კი პარიზში ჩავა და 6 სექტემბერს საფრანგეთ — იტალიას დაესწრება.

**— ანდრეი ვორონინმა „ლევერკუზენის" ძირითადში ადგილი დაკარგა. ამის გამო მას ფსიქოლოგიური პრობლემები ხომ არ აქვს?**

— ჯერ ამგვარი არაფერი შემინიშნავს.

**— უკრაინის ნაკრების ტაქტიკაში ცვლილებებს უნდა ველოდოთ?**

— ამის დრო არ გვაქვს. პრესაში ხშირად იწერება, რომ ნაკრებმა ასე ან ისე უნდა ითამაშოს, მაგრამ შედეგზე პასუხისმგებელი მე ვარ და მე უნდა გადავწყვიტო, თუ როგორ ითამაშებს ნაკრები.

**— ევრო 2008-ის შესარჩევში ნაკრების მიზანი კონკრეტულად რა იქნება?**

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ყველა სულმოუთქმელად ელით, როდის ავიკრავ გუდა-ნაბადს; როდის მოვა დრო, რომ ბლოხინ რამეს იტყვის და ვერ შეასრულებს. მაგრამ იცოდეთ, მე სულით გამარჯვებული ვარ, არ შემიძლია წაგება. კი, ოღესლაც წავაგებ, ვიცი, რომ უმძიმესი ჯგუფი გვაქვს და იმაზე მეტადაც გაგვიჭირდება, ვიდრე 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში. მაგრამ მეორე მხრივ, ჩვენს გუნდს უკვე დიდი გამოცდილება აქვს. საქართველოსთან მომავალი თამაშიც ძალიან ძნელი იქნება — ალბათ, ნერვების თამაში წავა. მიზნებზე კი უკვე არაერთხელ ვთქვი — პირველი ან მეორე ადგილი. მთავარი ბრძოლები საფრანგეთთან და იტალიასთან გვექნება.

**— შეადარეთ ახლანდელი საქართველოს ნაკრები წინა შესარჩევის საქართველოს ნაკრებს...**

— ვერაფერს გეტყვით. ჯერ არ მიმიღია სრული ინფორმაცია საქართველო — საფრანგეთის მატჩზე. ფარერებთან თამაშით კი ბევრს ვერაფერს დაინახავ. აი, შემადგენლობით საქართველო თითქმის არ შეცვლილა. ვნახოთ, მათ ახალი მწვრთნელი ჰყავთ და არ ვიცი, როგორ ათამაშებს ის გუნდს. მოვუსმენ ვერემეევს, ვნახავ საქართველო — საფრანგეთს და ამის მერე უფრო მეტის თქმა შემეძლება.

**— გუსინის გამოყენებას სად აპირებთ?**

— რატომ მაინცდამაინც გუსინის?

**— იმიტომ, რომ ის ნაკრებიდან წასვლას აპირებდა და მაინც დარჩა...**

— ეგრე შევჩენკოც დარჩა. ბლოხინიც დარჩა...

**— კი მაგრამ, გუსინი წასვლას აპირებდა...**

— მეც ვაპირებდი, მაგრამ დავრჩი.

**— თქვენ ხომ ამბობდით, რომ ძირითადში ადგილი გარანტირებული არავის აქვს?**

— ვამბობდი და ყოველთვის ვიტყვი. ეს გუსინსაც ვუთხარი. რა უნდა მექნა, მისთვის გარანტირებული ადგილი შემეთავაზებინა?

**— მაგრამ თქვენ ხომ მისი იმედი გაქვთ?**

— მე ყველას იმედი მაქვს, ვინც შეკრებაზე გამოვიძახე.

**— როგორ ფიქრობთ, შესარჩევი ციკლის შინ დაწყება კარგია?**

— კარგია ალბათ იმიტომ, რომ ჩვენ პირველ ტურს ვტოვებთ და დასვენებულები ვხვდებით ფრანგებთან ნათამაშევ ქართველებს. თუ პირველ სამ ტურში საქართველოსთან, იტალიასთან და შოტლანდიასთან, სულ მცირე, შვიდ ქულას ავიღებთ, სტარტს დადებითად შევაფასებ: აუცილებლად უნდა მოვიგოთ ყველა საშინაო მატჩი. სხვაგვარად, გაგვიჭირდება.

**ბაჩა შალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

## A ჯგუფი

# ლიტმანენმა პოლონეთში გაიარ-გამოიარა

**პოლონეთი 1:3 ფინეთი**

**0:1, 0:2 ლიტმანენი (54, 76პ), 0:3 ვაიარიუნენი (85), 1:3 გარგულა (89)**

**პოლონეთის** ნაკრებში ლეო ბეენჰაკერის დებიუტი მარცხიანი გამოდგა. ბებერმა ფინელმა იარი ლიტმანენმა საუცხოოდ ითამაშა — ორი გოლი გაიტანა და ერთი საგოლე პასიც მიითვალა. „აიაქსის" ყოფილი ვარსკვლავი, როგორც ჩანს, კვლავაც ფორმაშია, ლიტმანენი ხომ ფინეთის ნაკრების ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირია.

პირველ ტაიმში მასპინძლები უფრო კარგად თამაშობდნენ, მაგრამ სტუმართა მეკარე იასკელაინენიც არ იყო ჯაბანი. მატჩის დასაწყისშივე ბლაშიკოვსკის შეექმნა ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ ააცილა, ტაიმის შუაში კი იასკელაინენმა ზედიზედ ორჯერ აუღო მიხალ ჟევლაკოვს.

ფინელებმა ტაინიოსა და იოჰანსონის დარტყმებით უპასუხეს — პირველს სულ ცოტა დააკლდა გოლამდე, მეორეს კი მეკარე დუდეკმა არ გაატანინა.

შესვენების შემდეგ იარი ლიტმანენის გოლით ფინეთი დაწინაურდა. მან საჯარიმოს ხაზიდან მარჯვენათი ძლიერად დაჰკრა და ანგარიში გაიხსნა.



AFP

იარი ლიტმანენმა დუდეკს ორი გაუტანა

გასათანაბრებლად მომართული პოლონელები მეტოქის კარს მიაწყდნენ, მაგრამ იასკელაინენი იგერიებდა ხან ფრანკოვსკის, ხან კი შმოლარეკის დარტყმულებს. 76-ე წუთზე გლოვაცკიმ სტუმარი ერიომენკო საპენალტედ წააქცია. გლოვაცკი გააძევეს, ხოლო ლიტმანენმა თერთმეტი მეტრიდან შეასრიალა ბურთი კარში. აქედან რვა წუთში კი დუბლის ავტორმა ვაიარიუნენს მიაწოდა უნაკლო პასი და მასაც ფეხის დახვედრებაღა დასჭირდა გასატანად.

პოლონელებმა იმით მოიფხანეს გული, რომ გარგულამ კოხტა გოლი შეაგდო — ბურთი ცხრიანში შეფრინდა.

**სერბეთი 1:0 აზერბაიჯანი**

**1:0 ჟიგიჩი (72)**

**ჩერნიგორიის** გამოყოფის შემდეგ სერბეთისთვის ეს იყო პირველი ოფიციალური, თავისთავად ისტორიული შესარჩევი მატჩი და ისტორიაში ჟიგიჩის გოლი შევიდა. შეგახსენებთ, რომ სერბეთს მსოფლიოს ჩემპიონატის მერე ხავიერ კლემენტე თავკაცობს. მის ხელში გუნდმა ორი კვირის წინ ამხანაგურ შეხვედრაში ჩეხეთს 3:1 სძლია, ახლა კი აზერბაიჯანთან ცოტა გაუჭირდა, რაკი გოლი თამაშის დასრულებამდე 18 წუთით ადრე გავიდა. პირველ ტაიმში მარკო პანტელიჩს და დანკო ლაზოვიჩს შეეძლოთ გატანა, თუმც სტუმრებმა შესვენებამდე კარის მშრალად შენახვა მოახერხეს. მეორე ნახევარში ძალიან მონდომებული იყო პანტელიჩი და გვარიანადაც ანერვიულა მეტოქის მცველები, მაგრამ გოლის გატანა „კალათბურთელ" ნიკოლა ჟიგიჩს ეწერა. ორმეტრიანმა ფორვარდმა დეიან სტანკოვიჩის პასით იხეირა.

ზეგ სერბები პოლონეთს ეწვევიან, ხოლო აზერბაიჯანი ყაზახეთს უმასპინძლებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| სერბეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბელგია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ყაზახეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| პორტუგალია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| სომხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| აზერბაიჯანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| პოლონეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

## C ჯგუფი

# გოლსკიაერი



AFP ვალუეტაძე

სერგი ბარბარესი

**მოლდოვა 0:1 საბერძნეთი**

**0:1 ლიბეროპულოსი (77)**

**კიშინიოვში** იყო წვიმა და უინტერესო თამაში. პირველ ტაიმში გუნდებმა სულ ორჯერ დაარტყეს კარისკენ. 28-ე წუთზე დელასის წაქცევისთვის მსაჯმა მასპინძლების კარში საეჭვო პენალტი დანიშნა, რომელიც ბასინასმა დაარტყა და ააცილა. „ამ მომენტის შემდეგ ჩემი გუნდი უფრო მობილიზებული გახდა" — თქვა ნამატჩევს რეჰაგელმა. ევროპის ჩემპიონთა მწვრთნელმა მეორე ტაიმში შეცვლა „გამოიცნო": ნიკოს ლიბეროპულოსი შეუშვა და მანაც ბერძნები გამოაცოცხლა. თამაშის დასრულებამდე 15 წუთით ადრე ბასინასმა კუთხურიდან ჩააწოდა ბურთი და უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ლიბეროპულოსმა თავით გაიტანა.

**მალტა 2:5 ბოსნია**

**0:1 ბარბარესი (4), 1:1 პასე (6), 1:2, 1:3 ჰრგოვიჩი (10, 45), 1:4, 1:5 მუსლიმოვიჩი (48, 51), 2:5 მ. მიფსუდი (86)**

**ბოსნიელებს** ოფიციალურ მატჩებში სტუმრად ხუთი გოლი აქამდე არ გაეტანათ, ასე რომ, ეს მათი რეკორდია. მალტელთა რბევა ბარბარესმა დაიწყო — ბარტოლოვიჩის პასით მეოთხე წუთზე გახსნა ანგარიში, თუმც მასპინძელმა პასმა შორიდან დარტყმით უმალ გაათანაბრა. ჰრგოვიჩმა კვლავ დააწინაურა სტუმრები და მანვე შესვენებამდე მეორეც მიაყოლა. მეორე ტაიმში ჰრგოვიჩმა საგოლე პასი მიართვა მუსლიმოვიჩს და 1:4. აქედან ორ წუთში ისევ მუსლიმოვიჩმა გაიხარა და მასაც დუბლი გამოუვიდა, მაგრამ მალტელმა მიფსუდმა სხვაობა სამამდე შეამცირა.

**უნგრეთი 1:4 ნორვეგია**

**0:1 სოლსკიაერი (15), 0:2 სრიომსტადი (35), 0:3 პედერსენი (41), 0:4 სოლსკიაერი (55), 1:4 გერა (90პ)**

**ოლე გუნარ** სოლსკიაერმა, რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში ტრავმების გამო ექიმებს უფრო ხშირად ხედავდა, ვიდრე ბურთს და მოედანს, ნაკრებში დაბრუნება დუბლით აღნიშნა.

შეიძლება ითქვას, რომ სტუმრებმა ყოველმხრივ დაჩაგრეს მასპინძლები და ორჯერ ოთხის გატანაც შეეძლოთ.

„მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდმა მე-15 წუთზე გახსნა ანგარიში — მცველის შეცდომით ისარგებლა და საჯარიმოს ხაზიდან ბურთი კარში შეჭედა. უფრო შორი მანძილიდან გაიტანა სრიომსტადმა და ამ შემთხვევაშიც გაბორ კირალი უძლური აღმოჩნდა. ტაიმის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე პედერსენმა კოხტა გოლი შეაგდო — ბურთს ჰაერშივე დაჰკრა, ხოლო მეორე ნახევარში კვლავ სოლსკიაერმა ივარგა და სხვაობა ოთხამდე გაზარდა, მისავათებულ უნგრელებს კი ბოლოს მსაჯმა ერთი პენალტი „აჩუქა", რომელიც გერამ გამოიყენა.



ენაგადმოგდებული მოლდოველი ტესტიმიციანუ

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოსნია | 1 | 1 | 0 | 0 | 5:2 | 3 |
| ნორვეგია | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| საბერძნეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| თურქეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| მოლდავეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| მალტა | 1 | 0 | 0 | 1 | 2:5 | 0 |
| უნგრეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

## D ჯგუფი

# სტონტონისთვის ბოთლი ბურთია



AFP ფოტოარქივიდან

პოდოლსკი (№20) ირლანდიურ ალყაში

**გერმანია 1:0 ირლანდია**

1:0 პოდოლსკი (57)

**გერმანია:** ლემანი, იანსენი, ა. ფრიდრიხი, მ. ფრიდრიხი, ლამი, ბალაკი, ფრინგსი, შნაიდერი (ბოროვსკი 83), შვაინშტაიგერი, კლოზე, პოდოლსკი (ნოივილი 76)

**ირლანდია:** გივენი, კარი, ფინანი, დანი, ე. ობრაიენი, ოში, კილბეინი (ა. ობრაიენი 83), დაფი (მაკგეიდი 77), რიდი, დოილი (ელიოტი 79), რობი კინი

გაფრთხილება: შვაინშტაიგერი, რიდი, კლოზე, შნაიდერი, დანი, გივენი

მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

**იოახიმ ლიოვმა** სადებიუტო ოფიციალურ მატჩში ირლანდიას მოუგო გოლი კი ლუკაშ პოდოლსკიმ გაიტანა რობი კინის „დახმარებით". გერმანელი ფორვარდის დარტყმული კინს მოხვდა და გეზნაცვალი შევარდა შეი გივენის კარში, რომელმაც მთელი მატჩის განმავლობაში საუცხოოდ ითამაშა და ნერვები დააწყვიტა „შტუტგარტის" სტადიონზე შეკრებილ მასპინძელ ფანებს. პირველ ტაიმში მან ჯერ კლოზეს თავური მოიგერია, მერე კი პოდოლსკის არ გაატანინა.

მეორე ტაიმში იყო ეპიზოდი, როცა რიდმა საჯარიმო შეასრულა, ლემანს კი „ჩაეძინა", ბურთი ვერ მოიხელთა და არნე ფრიდრიხმა უშველა.

თამაშის დამთავრებამდე თხუთმეტი წუთით ადრე ირლანდიის ნაკრების მწვრთნელი სტივ სტონტონი მსაჯის გადაწყვეტილებამ გააბრაზა და ბოთლს ფეხი ჰკრა, რის გამოც გააძევეს. სტონტონმა თქვა: „მსაჯს არ უნდა გავეძევებინე. როგორც ყოფილმა ფეხბურთელმა, ჩვევისამებრ მივარტყი ბოთლს. ადრე თუ ბურთს ვურტყამდი, ახლა ბოთლს მოვუქნიე ფეხი. ამის მერე შევეცდები, თავი შევიკავო. რაც შეეხება მატჩს, ჩემი ფეხბურთელებით კმაყოფილი ვარ. მათ კარგად ითამაშეს და ვიმედოვნებ, მომდევნო შეხვედრას მოვიგებთ".

**ჩეხეთი 2:1 უელსი**

1:0 ლაფატა (76), 1:1 ირანეკი (85ს.კ.), 2:1 ლაფატა (89)

**ჩეხეთი:** ჩეხი, ირანეკი, უიფალუში, როზენალი, გალაშეკი (კოვაჩი 87), იანკულოვსკი, პლასილი, როსიცკი, შტაინერი (სიონკო 46), კოლერი, კულიჩი (ლაფატა 75)

**უელსი:** ჯონსი, დილეინი (კოტერილი 78), კოლინზი, გაბიდონი, რიკეცი (ერნშოუ 79), დევისი, ნიატანგა, რობინსონი, ფლეტჩერი (ლედლი 46), გიგზი, ბელამი

მსაჯი: ერიკსონი (შვედეთი)

**ჩეხეთის** ნაკრების ფორვარდი დავიდ ლაფატა უკეთესს ალბათ ვერც ინატრებდა — სადებიუტო მატჩში დუბლი შეასრულა და კარელ ბრიუკნერის გუნდმა ტეპლიცეში უელსს მოუგო.

უელსელები მწყობრად თამაშობდნენ დაცვაში, შეტევაში კი კრეიგ ბელამი აქტიურობდა და ანგარიშის გახსნის თითქმის ასპროცენტიანი შანსები ჰქონდა. პეტრ ჩეხს გიგზის დარტყმის შემდეგ ბურთი ხელიდან გაუვარდა, ბელამიმ კი დაამატა, მაგრამ ააცილა. ამის მერე გიგზის პასით მეკარესთან პირისპირ გავიდა, ჩეხსაც გასცდა, თუმც მახვილი კუთხიდან ცარიელ კარში ველარ შეაგდო. მესამედაც არ გაუმართლა ბელამის — ბურთი ძელს გაარტყა.

აი, ასეთი მომენტების შემყურე ჩეხები მეორე ტაიმში დავით ლაფატამ გამოაცოცხლა. მის პირველ და მეორე გოლს შორის კი ბურთი საკუთარ კარში ჩეხმა ირანეკმა ჩაგდო.

**სლოვაკეთი 6:1 კვიპროსი**

1:0 შკრტელი (9), 2:0 მინტალი (33), 3:0, 4:0 სებო (43, 49), 5:0 კარჰანი (52), 6:0 მინტალი (56), 6:1 იასემაკისი (90)

**„ნიურნბერგის"** ფორვარდმა მარეკ მინტალმა ორი გაიტანა და სამი საგოლე პასი მიითვალა.

პირველივე ტაიმში გაირკვა, რომ კვიპროსელები შინ უქულოდ დაბრუნდებოდნენ. შკრტელის, მინტალისა და სებოს ზუსტი დარტყმების შემდეგ მასპინძლებმა სტუმრებს არც მეორე ტაიმში „აწყენინეს" და ზუსტად იმდენივე გაუტანეს, რამდენიც შესვენებამდე „მიართვეს".

კვიპროსს ერთი თვე აქვს საიმისოდ, რომ კომიდან გამოვიდეს — მომდევნო მატჩი ოქტომბერში ირლანდიასთან ელის.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 6:1 | 3 |
| ჩეხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| გერმანია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სან მარინო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| უელსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| კვიპროსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:6 | 0 |

## E ჯგუფი

# კოლაუტიმ პასპორტი გოლით დაასველა

**ინგლისი 5:0 ანდორა**

1:0 კრაუჩი (5), 2:0 ჯერარდი (13), 3:0, 4:0 დეფო (38, 47), 5:0 კრაუჩი (66)

**ინგლისი:** რობინსონი, ე. კოული, ფ. ნევილი (ლენონი 65), ბრაუნი, ტერი, ჰარგრივსი, ჯერარდი, დაუნინგი (რიჩარდსონი 64), ლამპარდი, კრაუჩი, დეფო (ჯონსონი 72)

**ანდორა:** ალვარესი, ა. ლიმა, გარსია, აიალა, სონეხე, ხული სანჩესი (ხავიერ სანჩესი 45), სივერა (გ. გარსია 78), სილვა, ვიეირა, პუიოლი (ხიმინესი 47), რუისი

გაფრხთილება: ბრაუნი, სივერა, ხიმენესი

მსაჯი: ბრიუგერი (ავსტრია)

**ინგლისმა** ანდორას გადაუარა და ამ გადავლით, უფრო სწორად კი თავისი შეგირდების წარმატებით, ალბიონელთა ახალი მწვრთნელი სტივ მაკლარენი ფრიად გახარებული ბრძანდებოდა. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ანდორელებს „ოლდ ტრეფორდზე" გული და ჯიგარი საერთოდ არ ჩაუტანიათ, მაგრამ ერთსა და იმავე მოვლენას ადამიანმა ათასი კუთხიდან შეიძლება შეხედოს.

„ჩემმა ფეხბურთელებმა თამაშს თავი ძალიან კარგად გაართვეს, რაც ვთხოვე, პირნათლად შემისრულეს — თქვა მაკლარენმა მატჩის შემდეგ — ეს ჩვენთვის ტესტი იყო. ანგარიშს და მოგებას კი არ ჰქონდა მნიშვნელობა, მთავარი იყო როგორ შესრულდებოდა ჩანაფიქრი და ამ მხრივ უაღრესად კმაყოფილი დავრჩი. ჩვენ ვაკონტროლებდით ტემპს, წამით არ ავღელვებულვართ, რამდენიმე უხეში ორთაბრძოლის მიუხედავად არ გავღიზიანებულვართ და ნებისმიერი ეპიზოდის შემდეგ თამაშის სადავეებს უმალ ხელში ვიგდებდით".



ხუთიდან ერთი ჯერარდისა იყო

მაკლარენმა თამაშში მოგვიანებით ჩართო გამოუცდელნი, კირენ რიჩარდსონი, ენდი ჯონსონი და აარონ ლენონი, რომელთა გარჯითაც — ისევე, როგორც დანარჩენი ყველაფრით — ფრიად კმაყოფილი დარჩა.

**ესტონეთი 0:1 ისრაელი**

0:1 კოლაუტი (6)

**ომგადახდილმა** ისრაელმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი კამპანია ესტონეთში გამარჯვებით დაიწყო. შეხვედრის ერთადერთი გოლი არგენტინელმა რობერტო კოლაუტიმ მე-7 წუთზე გაიტანა. კალაუტის ისრაელის მოქალაქის პასპორტი თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე მოუსწრეს, ასე რომ, ესტონელთა კარში გატანილი გოლი არგენტინელისთვის ახალი სამშობლოს სახელით პირველი წარმატება გამოდგა.

თამაშამდე ერთი საათით ადრე წამოსულმა თავსხმამ მოედანი, მსუბუქად რომ ვთქვათ, გადაასხვაფერა, თუმცა მასპინძლებს ეტყობა ამ ბალახზე ჭიპი აქვთ მოჭრილი, რადგან მე-7 წუთს თუ არ ჩავთვლით, ისინი საკმაოდ კარგად თამაშობდნენ. აი, მე-7 წუთზე კი ესტონელების რამდენიმე შეცდომამ, „ვესტ ჰემის" მოთამაშე იოსი ბენაიუნს მწვავე გარღვევის საშუალება მისცა და მისი დარტყმული მართალია, მარტ პოომმა მოიგერია, კოლაუტის დამატებულს ვეღარაფერი დაუპირისპირა. აი, ამის მერე კი ინიციატივა ესტონელებისა იყო და დუდუ აუატის კარს მუდმივად ემუქრებოდა ხიფათი. მასპინძლებმა ასეთი მომენტები შექმნეს: მე-18 წუთზე სერგეი ტერეხოვმა საჯარიმოში ანდრეას ოპერს მიაწოდა ბურთი, რომელმაც ის დაიმორჩილა, მკერდით დაიგდო და დაარტყა, მაგრამ შიმონ გერშონი გადაელობა. სამი წუთის შემდეგ აქტიურობით გამორჩეულმა ტერეხოვმა წამოიწყო შეტევა, რომელიც ალექსანდრ დმიტრიევის დარტყმით დაგვირგვინდა, მაგრამ მეკარე აუატიმ ითამაშა საუცხოოდ. ერთი ხნის შემდეგ დმიტრი კრუგლოვმა დასცხო ლონივრად. ამჯერად აუატის ბურთი ხელიდან გაუვარდა, მაგრამ ვიიკიამემ ანგარიშის გათანაბრების დიდებული შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან.

ესტონელთა ინიციატივით და შეტევებით ჩაიარა მეორე ტაიმმაც, იმ განსხვავებით, რომ ისრაელის კართან სახიფათო მომენტები ნაკლები იყო. ამაში თავისი როლი ისრაელის მწვრთნელის, დრორ კაშტანის ცვლილებებმა შეიტანეს ლომის წილი, თუმცა მსაჯის წამატებულ წუთებში მასპინძლებს ერთხელაც შეეძლოთ გოლის გატანა — ოპერი, რომელიც ამ დღეს ნაკრებში თავის მეასე მატჩს თამაშობდა, კონსტანტინ ვასილიევის პასით მეკარესთან პირისპირ შევიდა და ვაგლახ, ვერ აჯობა — მეკარემ ბურთი კუთხურზე გადააგდო. კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს რანგარ კლავანმა დაარტყა თავი, მაგრამ აუატი ამ დღეს გოლს არ უშვებდა.

**პაპუნა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| მაკედონია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ისრაელი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| რუსეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ხორვატია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ესტონეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| ანდორა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:5 | 0 |

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

## F ჯგუფი

# ლაგერბეკის დაგრეხელები



ორგოლა დავიდ ვილია ბურთით ერთობა

**ესპანეთი 4:0 ლიხტენშტაინი**

1:0 ტორესი (20), 2:0, 3:0 ვილია (45, 62), 4:0 ლუის გარსია (66)

**ესპანეთი:** კასილიასი, ს. რამოსი, პაბლო, პუიოლი, პერნია, ალბელდა (ოუბინია 69), ფაბრეგასი (ინიესტა 63), ხ. ალონსო, რაული, ვილია (ლუის გარსია 63), ტორესი

**ლიხტენშტაინი:** იელე, ტელსერი (ფიშერი 56), მაიერხოფერი, ჰასლერი, შტოკლასა, ბიურგმაიერი, ბუშელი, რიცბერგერი, დელია, ტ. ბეკი (რ. ბეკი 69), ფრიკი (როჰრერი 86)

გაფრთხილება: ვილია, მაიერხოფერი, ფრიკი

მსაჯი: ბოჟინოვსკი (მაკედონია)

**ლუის არაგონესის** გუნდმა პირველი სამი ქულა მოიპოვა და ამ საქმეში დავიდ ვილიამ ორგოლიანი წვლილი შეიტანა.

არაგონესმა ტაქტიკურ სქემად 4-3-3 ირჩია, რითაც სპეციალისტები და ქომაგები ვერ გააკვირვა. ესპანელთა თავდამსხმელები გახლდნენ ფერნანდო ტორესი, ზემოხსენებული ვილია და რაული, რომელთაც პირველივე წუთებიდან დაიწყეს მეტოქის დაცვის აკლება. მასპინძლებს იმთავითვე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ მეკარე პეტერ იელემ მარიანო პერნიას არ გაატანინა, თუმცა მერე დაიწყო და დაიწყო.

**ლატვია 0:1 შვედეთი**

0:1 კალსტრიომი (38)

**მატჩის წინ** ამბობდნენ, რომ ლატვიელთა მწვრთნელ იური ანდრეევს ბევრი ფეხბურთელი ტრავმირებული ჰყავდა და ხეირიან შემადგენლობას ვერ მოკრებდა, მაგრამ გაირკვა, რომ ეს ხმები გადაჭარბებული იყო — შვედებს ბალტიისპირელთა საუკეთესო თერთმეტეული დაუპირისპირდა. ნახევარდაცვაში ჩვეული ადგილები დაიკავეს ნახევარმცველებმა იურის ლაიზანსმა, ვიტალი ასტაფიევსმა და ანდრეი რუბინსმა. ამ შეხვედრაში შედგა ახალგაზრდა მცველის, ოსკარ კლიავას დებიუტიც.

დებიუტანტი ჰყავდათ შვედებსაც — ამ დღეს ლარს ლაგერბეკის განკარგულებაში არ იყო ძირითადი გოლკიპერი ანდრეას ისაკსონი და მის ნაცვლად სკანდინაველთა კარი ფრედერიკ იუნგბურგმა დაიცვა.

მასპინძლების კართან ტემპერატურამ მე-3 წუთზევე მოიმატა — კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს უმეურვეო ნიკლას ალექსანდერსონმა დაარტყა თავი, თუმცა მეკარე კოლინკო სწორ პოზიციაზე იდგა. მერე ლატვიელთა კარში გოლი გავიდა, მაგრამ ზლატან იბრაჰიმოვიჩს გარჯა არ ჩაუთვალეს, რადგან მანამდე მისმა რომელიღაც თანაგუნდელმა წესი დაარღვია.

ასეთი დასაწყისის მიუხედავად, მე-20 წუთის შემდეგ მასპინძლებმა მაინც მოახერხეს გათამამება და სულ უფრო ხშირად გადადიოდნენ მოწინააღმდეგის ნახევარზე. ლაგერბეკი აღშფოთდა და მოედნის კიდესთან მისულმა თავის შეგირდებს მწვრთნელთათვის დამახასიათებელი ჟესტებით რჩევა-დარიგებები დააყარა თავს, მაგრამ ლატვიელებმა მაინც შექმნეს ერთიორი სახიფათო მომენტი.

მაღალი კლასის გუნდი იმიტომაა მაღალი კლასის გუნდი, რომ გასაჭირში არ ტყდება და შვედებმაც სწორედ ეს დაამტკიცეს — გოლი გაიტანეს. მომენტი მართლაც საშინელი იყო: იბრაჰიმოვიჩის დარტყმული მეკარემ მოიგერია, შემდეგ ცარიელი კარიდან ბურთი მარის სმირნოვმა გამოაგდო და როდესაც ყველას ეგონა, რომ ხიფათი ჩაცხრა, საიდანღაც გამოვარდნილმა კიმ კალსტრიომმა ღონიერი დარტყმით ბურთი ბადეში შეჭედა.

შემდეგ იბრაჰიმოვიჩმა კიდევ ერთი გოლი გაიტანა, მაგრამ ისევ არ ჩაუთვალეს, რადგან თანამსაჯმა ოფსაიდი აღნიშნა, ამის შემდეგ კი ტობიას ლინდეროტმა მოედნის ცენტრალური წრიდან დაარტყა დაუცველ კარში — მეკარე ძალიან წინ იყო გამოსული — მაგრამ მიზანი დააკლდა.

**ჩრდ. ირლანდია 0:3 ისლანდია**

0:1 ტორვალდსონი (13), 0:2 ჰრეიდარსონი (20), 0:3 გუდიონსენი (37)

**ყველაფერი** პირველსავე ტაიმში გახდა ნათელი — ისლანდიელები, რომელთა შორის სხვათაგან აშკარად გამოირჩეოდა „ბარსელონას“ ახალწვეული ეიდურ გუდიონსენი, გუნარ ტორვალდსონისა და ჰერმან ჰრეიდარსონის გოლების წყალობით თამაშის დასაწყისშივე დაწინაურდნენ, შესვენებამდე კი თავად გუდიონსენმა გაიტანა მესამე — ნაკრებში ჩატარებულ 41-ე მატჩში მე-17 გოლი — და ყველაფერს წერტილი დაუსვა.

არადა, ბელფასტელები „უინძორ პარკზე“ გამარჯვებას ელოდნენ. მიზეზი: ჩრდილო ირლანდიელებმა მსოფლიოს 2006 წლის შესარჩევ შეხვედრაში რამდენიმე ჩინებული მატჩი ჩაატარეს. ამ მატჩებს შორის იყო გამარჯვება ინგლისის ნაკრებთან 1:0, ასე რომ, იმედის საბაბი მასპინძლებს ნამდვილად ჰქონდათ და ვინ იცის, თამაშის სულ მთლად დასაწყისში, დებიუტანტ სემი კლინგანსა და ფორვარდ დევიდ ჰილს თავიანთი წილი საგოლე მომენტები რომ გამოეყენებინათ, იქნებ სულ სხვა რამ მომხდარიყო, მაგრამ როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გოლები მასპინძლებმა კი არა, სტუმრებმა შეყარეს.

**პაპუნა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| ისლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| შვედეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| დანია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ლატვია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ჩრდ. ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| ლიხტენშტაინი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |

## G ჯგუფი

# არწივები თეთრი რუსეთიდან ქულით გაფრინდნენ

**ლუქსემბურგი 0:1 ჰოლანდია**

0:1 მატიისენი (18)

**ლუქსემბურგი:** ჟუბერი, ჰოფმანი, როიტერი, კინციგერი, მუჩი, ლომბარდერი (ფედერსპილი 83), ფერეირა (ჰუსი 88), შტრასერი, ბეტმერი, რემი, იოაჰიმი

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, ოოიერი (ემანუელსონი 46), ჰეიტინგა, მატიისენი, დე კლერი, ლანძაატი, შაარსი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 46), იანსენი, ვან პერსი (ბაბელი 77), ჰუნტელაარი, კუიტი

გაფრთხილება: ჰოფმანი, მუჩი, კინციგერი, ჰუტელაარი, ლანძაატი

მსაჯი: ჟუან ფერეირა (პორტუგალია)

**„ორანიეს“** იორის მატეისენის სადებიუტო სანაკრებო გოლმა გაამარჯვებინა გუნდთან, რომლის საუკეთესო ფეხბურთელიც მეკარე ჟონტან ჟუბერი იყო.

ჰოლანდიელებს დიდი ლოდინი არ დაუწყიათ, ჩასტვინა თუ არა მსაჯმა, შეუტიეს და ჯერ ტეო იანსენმა ააცილა ოდნავ, შემდეგ რობინ ვან პერსი დარწმუნდა, რომ მასპინძლებს საუცხოო მეკარე ჰყავთ. ერთი ხანი რომ გავიდა, ვან პერსიმ კლაას ჰუნტელაარს მიაწოდა ბურთი, მაგრამ ჟუბერმა ჰუნტელაარის დარტყმასაც გაართვა თავი. შემდეგ ლუქსემბურგელთა მეკარემ დირკ კუიტი და მატიისენი გააწბილა.

გოლი კი ვან პერსის დამსახურება გახლდათ: მან ბურთი მიაწოდა მატიისენს, რომელსაც პირველი ცდა ჩაუფლავდა და მეორეთი შეაგდო. ამის მერე ერთი მომენტი ჰქონდათ ლუქსემბურგელებს, რასაც ისევ ჟუბერის კლასის დაუსრულებელი დადასტურება მოჰყვა.

**ბელარუსი 2:2 ალბანეთი**

1:0 კალაჩერი (1), 1:1 შკელა (73), 2:1 რომაშჩენკო (24), 2:2 ჰასი (86)

ბელარუსები ორჯერ დაწინაურდნენ, მაგრამ ალბანელებმა ორივეჯერ გაუთანაბრეს — აი, ასეთი გამოდგა ორი მწვრთნელის, იური პუნტუსისა და ოტო ბარიჩის დებიუტი. ისე, დებიუტიც არის და დებიუტიც, ბარიჩს ალბანეთამდე ხორვატია და ავსტრია გაუწვრთნია, პუნტუსს კი დებიუტი ჰქონდა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით — ბელარუსი მის კარიერაში პირველი ნაკრებია.

ბელარუსებს მოგება უნდოდათ და ეს სამი მცველით თამაშზეც დაეტყოთ. ისინი პირდაპირ მიაწყდნენ არწივთა ნახევარსა და საჯარიმოს და 44-ე წამზე ტიმოფეი კალაჩევმა ანგარიში გახსნა, მაგრამ სტუმრები არ დაიბნენ და მე-7 წუთზე ერვინ შკელამ პენალტით გაათანაბრა.

თანდათან გამოიკვეთა მატჩის სურათიც — ბელარუსები მოკლე პასებით ცდილობდნენ კომბინაციების დახლართვას, ალბანელები კი გრძელი პასებით კონტრშეტევას ლამობდნენ. უფრო სახიფათონი მაინც მასპინძლები იყვნენ — რომაშჩენკომ ორჯერ დაარტყა სახიფათოდ, მესამედ კი გოლიც გაიტანა.

მეორე ტაიმში ქართველების კარგმა ნაცნობმა იგლი ტარემ ორჯერ ვერ შეაგდო — ერთხელ მეკარემ აუღო, მეორედ დაუცველ კარში ვერ გაიტანა, თამაშის მიწურულს კი „ანდერლეხტის“ 34 წლის მცველმა ჰასიმ საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა.

**რუმინეთი 2:2 ბულგარეთი**

1:0 როსუ (40), 2:0 მარიკა (55), 2:1, 2:2 მ. პეტროვი (82, 84)

რუმინეთი—ბულგარეთი უფრო საბჭოთა კავშირის დროინდელი ტურისტული მარშრუტივით ჟღერს, მაგრამ ჩვენ ფეხბურთის მატჩზე მოგახსენებთ: მარტინ პეტროვის ორი გოლით ბულგარელებმა რუმინეთიდან ქულა წაიღეს.

არადა, თავიდან, მას მერე, რაც სტუმრებს ლაურენტიუ როსუმ და ჩიპრიან მარიკამ გაუტანეს, ყველას ეგონა, რომ საქმე რუმინელთა სასარგებლოდ იყო მომთავრებული. რუმინელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ძალიან თავდაჯერებულად და საქმის ცოდნით იქცეოდნენ, მაგრამ თამაშის ბოლო ათ წუთში ზემოხსენებულმა პეტროვმა საშინელება მოუწყო. ამას ისიც დაემატა, რომ მსაჯის წამატებულ წუთებში მეორე ყვითლის ძალით მსაჯმა მოედნიდან გაბრიელ ტამაში გააძევა.

მასპინძლებს თავიდანვე შეეძლოთ გოლების გატანა — კარგი პოზიციიდან როსუმ ორჯერ ჯერ კიდევ 0:0-ის დროს ვერ გაიტანა. ხელსაყრელი მდგომარეობით ვერ ისარგებლა ადრიან მუტუმაც, შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე კი როსუმ საჯარიმოს ხაზიდან დაარტყა ზუსტად — 1:0.

შესვენების შემდეგ რუმინელებმა შეტევა განაგრძეს, რისი დასტურიც ფლორენტინ პეტრესა და მარიკას უზუსტო დარტყმები გახლავთ, 55-ე წუთზე კი მარიკამ მაინც შეაგდო.



მატიისენმა (მარცხნივ) ჰოლანდიას მოაგებინა

და, მასპინძელთათვის სამწუხაროდ, ვიქტორ პიცურკას ბიჭებმა ჩათვალეს, რომ საქმე მომთავრებული იყო და როგორც კი ასე გაიფიქრეს, სცენაზე პეტროვი გამოვიდა...

**პაპუნა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ალბანეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ბელორუსი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| რუმინეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ბულგარეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| სლოვენია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ლუქსემბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |



ბერეზოვსკი და აბრამოვიჩი



კია ჯურაბჩიანი

# ჯურაბჩიანი: ვესტ ჰემი ჩემპიონთა ლიგას მოიგებს!

## ირანელი ბიზნესმენი ბერეზოვსკის და აბრამოვიჩს უარყოფს

**რა შუაშია ერთმანეთთან კია ჯურაბჩიანი და ინგლისური ფეხბურთის რუსული რევოლუცია? და რა კავშირში არიან კია ჯურაბჩიანი, ბორის ბერეზოვსკი, ბადრი პატარკაციშვილი და რომან აბრამოვიჩი? ეს ის კითხვებია, რომლებზეც პასუხს ჩვენ ვერ გაგცემთ, თუმცა გვსმენია, რომ ჩამოთვლილ ადამიანებს შორის კავშირი არსებობს და თან საკმაოდ მჭიდრო**

ჯურაბჩიანი 35 წლის ირანელია — გვარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ირანელი სომეხი უნდა იყოს — რომელმაც შესაძლოა, ლონდონის კლუბი „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ იყიდოს. ჩვენთან, საქართველოში დაირხა ხმები, რომ „ვესტ ჰემი“ ბადრი პატარკაციშვილის სამეგობრომ იყიდა და ისიც მისი ერთ-ერთი მეპატრონეა, „სანში“ კი წერია, რომ ლონდონურ კლუბს კია ჯურაბჩიანი ყიდულობს და გარიგება ალბათ, სულ მალე შედგება.

რა და როგორ ხდება, ზუსტად „სანიც“ ვერ წერს, თუმცა ამბობს, რომ არგენტინელი ფეხბურთელების, კარლოს ტევესისა და ხავიერ მასკერანოს ბრაზილიური „კორინთიანსიდან“ „ვესტ ჰემში“ გადაყვანაში სწორედ ჯურაბჩიანის ხელი ურევია — შეგახსენებთ, რომ „კორინთიანსიც“ ჯურაბჩიანის გუნდია — და ამ ყველაფერს სუპერაგენტი პინი ზაჰავი აგვარებს. თუ არ იცით, მოგახსენებთ, რომ ზაჰავი ის კაცია, რომელმაც რომან აბრამოვიჩი „ჩელსიში“ მიიყვანა, ხოლო ალექსანდრ გაიდამაკი „პორტსმუთში“.

ჯურაბჩიანს „ვესტ ჰემის“ ყიდვა შარშანაც უნდოდა და 70 მილიონ გირვანქას იხდიდა, ახლა კი თითქოს ამ 70-ს ზედ 30 მილიონიც დაამატა, თუმცა „სანის“ გამოძებნილმა მავანმა ანონიმმა, რომელიც ჯურაბჩიანის საქმეებს შიგნიდან იცნობს, თქვა, რომ კია ამწუთას „ჩაქუჩების“ ყიდვას არ ფიქრობს, მომავალში კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

თავად ჯურაბჩიანმა ბერეზოვსკისა და აბრამოვიჩთან საქმიანი ურთიერთობა უარყო, პატარკაციშვილს კი „სანი“, ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით, არ ახსენებს.

ჯურაბჩიანი: „ბორის ბერეზოვსკისთან ბიზნესი არასოდეს მქონია, თუმცა მას ჩემს მეგობრად მივიჩნევ. არასდროს მქონია ბიზნესი რომან აბრამოვიჩთანაც. რაც შეეხება „ვესტ ჰემს“, მჯერა რომ მალე იგი უფრო დიდი კლუბი გახდება, ვიდრე „ჩელსია“ და შეიძლება, შვიდ წელიწადში „მანჩესტერ იუნაიტედიც“ კი დაჩრდილოს. ალან პერდიუს გუნდის ახალ მიწებზე წაყვანა შეეძლება. მას შეეძლება იბრძოლოს ჩემპიონთა ლიგისა და თვით პრემიერლიგის ტიტულისთვისაც კი. გამონაკლისი, რა თქმა უნდა „მანჩესტერ იუნაიტედია“, მას, როგორც მადრიდის „რეალს“, მსოფლიო მასშტაბის შარმი აქვს, მაგრამ ამის დიდი პოტენციალი „ვესტ ჰემშიც“ არსებობს. რატომ? იმიტომ, რომ მას თავგადაკლული ქომაგები ჰყავს და დიდი ისტორია უმაგრებს ზურგს. რამდენადაც მე ვიცი, „ვესტ ჰემს“ მსოფლიოში „ჩელსიზე“ მეტი ქომაგი ჰყავს“.

**პაპუნა ძიდია**

### ამხანაგური მატჩი

# ბაზილემ ლონდონში ელანო ჭამა



ელანო

**ბრაზილია 3:0 არგენტინა**

1:0, 2:0 ელანო (3, 67), 3:0 კაკა (89)

**ბრაზილია:** გომესი, სისინიო (მაიკონი 66), ლუსიო, ჟუანი, ედმილსონი, ჟილბერტო, ელანო (ჟულიო ბაპტისტა 73), სილვა, ფრედი (ვაგნერ ლავი 80), რობინიო (სობისი 89), კარვალიო (კაკა 59)

**არგენტინა:** აბონდანსიერი, კოლოჩინი, როდრიგესი (სამუელი 46), საბალეტა, მასკერანო (სორინი 46), რიკელმე, ბილოში (უნსუა 72), ტევესი (აგერო 66), მილიტო, გონსალესი, მესი

ბრაზილიის ახალი ნაკრების სიმბოლო ელანო იქნებაო, უთქვამს ამას წინათ დუნგას და როგორც ჩანს არ შემცდარა — ლონდონის „არსენალის“ ახალ სტადიონზე ამხანაგურ მატჩში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებმა ალფიო ბაზილეს დებიუტი ჩაუშწარეს, ორი გოლი კი სწორედ ელანომ შეაგდო. დუბლის ავტორის პირველად პასი რობინიომ გაუხერხა, მეორედ კი კაკამ და მეგოლემ ორივეჯერ საუცხოო დარტყმით აჯობა აბონდანსიერის. ბოლო კი კაკამ „დახაზა“, რამდენიმე მცველს ჩაუცეკვა და კოხტა გოლი გაიტანა.

ლონდონის „ვესტ ჰემის“ ფანებს, ცხადია, გუნდის ახალწვეულების, ტევესისა და მასკერანოს თამაში აინტერესებდათ. ამათგან პირველი ყველაზე გამორჩეული იყო თავის ნაკრებში და ერთხელ კარგი თავურიც დაარტყა, მაგრამ გომესმა არ გაატანინა, ხოლო მეორე, მასკერანო მკრთალი იყო და ამიტომაც შეცვალეს მეორე ტაიმში.

ფაქტობრივად, ბრაზილიელთა პირველივე შეტევა გოლით დასრულდა. დონეცკის „შახტარის“ 25 წლის ნახევარმცველმა ელანომ რობინიოსგან პასი მიიღო, დაარტყა და ბურთი გზად ოდნავ შეეხო მცველ ბილოშს, შემდეგ კი კარში შევარდა. ეს იყო შახტარელის პირველი სანაკრებო გოლი. ამის მერე კიდევ ჰქონდა მომენტი ელანოს მაგრამ აბონდანსიერიმ ბურთი მოიგერია.

მეორე ტაიმში არგენტინა შედარებით გამოცოცხლდა და ლიონელ მესის შეეძლო თავით გატანა, თუმც ხელსაყრელი ადგილიდან კარს ააცილა. მესისა და გონსალესის კომბინაცია საბალეტას არაზუსტი დარტყმით დასრულდა. ბრაზილიელებმა მეტოქის შეტევების მოგერიების შემდეგ მეორე გოლისთვისაც მოიცალეს. კარვალიოს ნაცვლად შესულმა კაკამ ისეთი პასი მიაწოდა ელანოს, როგორიც სჩვევია და შახტარელმა ის ამჯერადაც აჯობა აბონდანსიეროს.

ბოლოს კი კაკამ საკუთარი ნახევრიდან იარა, მცველები ჩამოიშორა და ბრწყინვალე გოლი გამოუვიდა.



# კიდევ ერთი ბრაზილიელი არსენალის არსენალში

ლონდონის „არსენალმა“ დაადასტურა, რომ ეშლი კოულის უილიამ გალასში, ხოლო ხოსე ანტონიო რეიესის ჟულიო ბაპტისტაში გაცვლის გარდა, ნიჭიერი ბრაზილიელი ნახევარმცველი დენილსონიც დაიმატა. „მეთოფეებმა“ 18 წლის ფეხბურთელში „სან პაულუს“ 1,9 მილიონი გირვანქა გადაუხადეს და კიდევ 1,1 მილიონს გადაუხდიან, თუ ბრაზილიის ცხრამეტწლამდელთა ნაკრების კაპიტანი „არსენალის“ ძირითად შემადგენლობაში ხშირად ითამაშებს.

დენილსონზე ბრაზილიაში დიდ იმედებს ამყარებენ. ამპლუით ნახევარმცველს კარგად შეუძლია დაცვაში თამაში და ერთვება შეტევებშიც. „არსენალში“ მას ორი თანამემამულე ეყოლება, ბაპტისტა და ჟილბერტო.

„18 წლის ფეხბურთელი გამოცდილი მოთამაშის ფასში გავყიდეთ. შესაბამისად, ტრანსფერით კმაყოფილები ვართ. დენილსონი ძალიან ნიჭიერია და წარმატებებს ვუსურვებთ. მისი კარგი თამაში გაგვახარებს, რადგან იგი პროფესიონალი სწორედ აქ გახდა “ — თქვა „სან პაულუს“ დირექტორმა მარკო აურელიო კუნიამ.

**კოკი კანდელაკი**





# მაცონემ მოჯის სული უცხონა

ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა და გამოცდილმა იტალიელმა მწვრთნელმა კარლო მაცონემ კალჩოპოლის ვერდიქტი გააკრიტიკა და სხვებთან შედარებით მკაცრად დასჯილი „იუვენტუსი" დაიცვა. მან ასევე კარგად მოიხსენია „ბებერი ქალბატონის" ყოფილი გენერალური დირექტორი და მთელ ამ სკანდალში მთავარი ფიგურა ლუჩანო მოჯი.

„როდესაც „ინტერის" მაისურაზე შარშანდელი სკუდეტოს ლოგოს ვხედავ, ცუდი გრძნობა მეუფლება. ეს სწორი გადაწყვეტილება არ იყო, რადგან ამ ტიტულს გუნდები მინდორზე იგებენ და არა იმის ხარჯზე, რომ ვილაცები დასაჯეს და ქულები ჩამოაჭრეს. შესაძლოა, გარკვეულ მაქინაციებს ადგილი ჰქონდა, მაგრამ არა ისეთ და გადამწყვეტს, როგორსაც ხატავენ. „იუვენტუსმა" სკუდეტო თამაშით, დამსახურებულად მოიპოვა. ლუჩანო მოჯისთან ერთად კი „რომაში" მიმუშავია და მას კარგად ვიცნობ. იგი თავის საქმეში ერთ-ერთი საუკეთესოა" — თქვა მაცონემ.

მხცოვან სპეციალისტს მიაჩნია, რომ „კალჩოპოლი" საქმეში კარგად ვერ გაერკვა და სხვადასხვა პირების მაქინაციების გამო კლუბები და ფეხბურთელები უსამართლოდ დაისაჯნენ.

კარლო მაცონე: „ძნელია, გაიგო კალჩოპოლის გადაწყვეტილება. ყველას ერთ ქვაბში მოხარშვა არ შეიძლება. რამდენიმე ჩინოვნიკის გამო ფეხბურთელები, მწვრთნელები და კლუბები ზედმეტად დაისაჯნენ. თანაც ამგვარი რამეები მხოლოდ იტალიაში არ ხდება და ეს მხოლოდ „იუვენტუსის" ხელმძღვანელობის ბრალი არ არის".

„ლივორნოდან" წამოსვლის შემდეგ მაცონე უმუშევარია და მისი ოცწლიანი სამწვრთნელო კარიერა შესაძლოა, დასრულდეს კიდეც. თუმცა თავად გამოცდილ ტაქტიკოსს, საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

„ვცდილობ, პენსიონერის როლს მოვერგო. ეს ნამდვილად არ მსიამოვნებს, მაგრამ ადრე თუ გვიან ამ აზრთან შეგუება ყველას უწევს. თუმცა საბოლოოდ ჯერ არაფერი გადამიწყვეტია — დასძინა მაცონემ.

**გიორგი ძაძაგაძე**

# ჰამარბი მინუს სამით

შვედეთის ფეხბურთის ასოციაციამ „ჰამარბის" სამი ქულა დააკლო და 27 150 დოლარით დააჯარიმა. შეგახსენებთ, რომ გასულ ორშაბათს „ჰამარბი" — „იურგორდენის" მატჩი მოედანზე მასპინძელთა ფანების შეჭრის გამო ჩაიშალა. პირველი ტაიმის შემდეგ სტუმრები 3:0-ს იგებდნენ, მაგრამ მეორეში არეულობა დაიწყო და ნახევარი საათის განმავლობაში პოლიცია ამაოდ ცდილობდა გიჟმაჟთა დაშოშმინებას. თამაში ხუთი წუთით მატჩის პირველ ნახევარშიც შეწყდა, რადგან გვერდით მსაჯს თავში რაღაც მოარტყეს.

ასე და ამგვარად, სადისციპლინო კომიტეტის ვერდიქტით, „ჰამარბის" ჩაეთვალა 0:3 წაგება და, როგორც ზემოთ ვთქვით, თან სამი ქულაც ჩამოაჭრეს, ხოლო „იურგორდენს", რომლის ქომაგებიც არანაკლებ ურევდნენ, 2 063 დოლარის გადახდა მოუწევს.



## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

UNDER-21 Championship

### I ჯგუფი

სომხეთი 1:0 ნორვეგია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოსნია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| სომხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ნორვეგია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

### II ჯგუფი

ალბანეთი 0:3 ესპანეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 0 |
| სლოვაკეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ალბანეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |

### IV ჯგუფი

ირლანდია 0:1 ბელგია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ბელგია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| საბერძნეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

### V ჯგუფი

ისლანდია 0:1 იტალია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ავსტრია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ისლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |

### VI ჯგუფი

ფინეთი 1:5 რუსეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:1 | 3 |
| ფინეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:10 | 0 |

### VII ჯგუფი

ლატვია 0:2 პორტუგალია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| პორტუგალია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ლატვია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

### VIII ჯგუფი

მოლდაველი 1:3 შვეიცარია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ინგლისი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| მოლდაველი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |

### IX ჯგუფი

კვიპროსი 0:2 ჩეხეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ბელარუსი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| კვიპროსი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

### X ჯგუფი

ჩრდ. ირლანდია 2:3 გერმანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| გერმანია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ჩრდ. ირლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

### XI ჯგუფი

მაკედონია 0:3 დანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| შვედეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| მაკედონია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

### XII ჯგუფი

ბულგარეთი 2:1 ხორვატია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ხორვატია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| უკრაინა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

### XIII ჯგუფი

უელსი 0:0 თურქეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისრაელი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| თურქეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| უელსი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

### XIV ჯგუფი

შოტლანდია 1:3 საფრანგეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| სლოვენია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| შოტლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

## ნორვეგია

### I დივიზიონი. XXI ტური

ჰაუგესუნდი — მოსი 0:4; კონგსვინგერი — ფოლო 2:0; პორს გრენლანდი — ჰიონეფოსი 2:3; ტრომსდალენი — ჰოდი 3:2; სოგნდალი — სპარტა 2:2; ოლესუნდი — ლაყ ჰამი 2:1; ბრინი — *სტრომგოდსეტი დღეს გაიმართება*

## ირლანდია

### პრემიერლიგა XXI ტური

ბოჰემიანსი — დროჰედა 2:2; ბრეი — შელბურნი 2:3; სტ. პატრიკსი — უოტერფორდი 0:1; ლონგფორდი — სლიგო 0:2; დერი — დუბლინი 0:0

## ესპანეთი

### სეგუნდადივიზიონი II ტური

ლორკა — სპორტინგი 0:2; რეალი B 0:3 ერკულესი; მურსია — ალმერია 3:2; ელჩე — ალბასეტე 1:2; ვეცინდარიო — კასტელონი 4:2; ხერესი — სიუდადი 2:0; ვალიადოლიდი — ლასპალმასი 2:0; პოლი ეხიდო — სალამანკა 1:0; ტენერიფე — კადისი 0:1; მალაგა — ალავესი 1:0; პონფერადინა — ნუმანსია 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალიადოლიდი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| კადისი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ალბასეტე | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ხერესი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| მალაგა | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| ერკულესი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 |
| სიუდად მურსია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| მურსია | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 3 |
| სალამანკა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| სპორტინგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| პონფერადინა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ტენერიფე | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ვეცინდარიო | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| პოლი ეხიდო | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| ელჩე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ალავესი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| კასტელიონი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| ნუმანსია | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ლორკა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| რეალი B | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| ალმერია | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| ლას პალმასი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

## შოტლანდია

### II დივიზიონი V ტური

ქოუდენბითი — პიტერჰედი 4:2; ფორფარი — ეირი 0:1; მორტონი — ალოა 4:0; სტირლინგი — რეითი 1:1; სტრანრარი — ბრეჩინი 3:1

### III დივიზიონი V ტური

ისტ ფაიფი — ისტ სტირლინგი 5:0; ბერვიკი — ქუინზ პარკი 1:0; დამბარტონი — არბროთი 0:2; მონტროუზი — ალბიონი 2:1; სტენჰაუზმური — ელგინი 2:0

## ჰოლანდია

KNVB

### მეორე დივიზიონი V ტური

იგლსი — ალმერე 2:1; ემენი — გრააფსხაპი 0:3; სიტარდი — დოორდრეხტი 0:4; ზვოლე — როზენდალი 1:2; ვენლო — კამბური 3:2; ოსი — ეინდჰოვენი 0:0; ტელსტარი — ვეენდამი 1:1; მაასტრიხტი — ჰაარლემი 0:0; ჰელმონდი — დენ ბოსხი 3:3; ვოლენდამი — აპელდორნი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დოორდრეხტი | 5 | 4 | 1 | 0 | 13:3 | 13 |
| როზენდალი | 5 | 3 | 2 | 0 | 13:5 | 11 |
| დენ ბოსხი | 5 | 3 | 2 | 0 | 12:5 | 11 |
| ვოლენდამი | 5 | 3 | 2 | 0 | 9:4 | 11 |
| იგლსი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:5 | 10 |
| ვენლო | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 8 |
| გრააფსხაპი | 5 | 2 | 1 | 2 | 11:8 | 7 |
| ვეენდამი | 5 | 1 | 4 | 0 | 5:4 | 7 |
| ტელსტარი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:10 | 7 |
| მაასტრიხტი | 5 | 1 | 3 | 1 | 7:3 | 6 |
| ჰაარლემი | 5 | 1 | 3 | 1 | 9:6 | 6 |
| ალმერე | 5 | 2 | 0 | 3 | 8:12 | 6 |
| ზვოლე | 5 | 1 | 2 | 2 | 6:4 | 5 |
| ემენი | 5 | 1 | 2 | 2 | 8:12 | 5 |
| აპელდორნი | 5 | 1 | 1 | 3 | 11:12 | 4 |
| სიტარდი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:10 | 4 |
| ეინდჰოვენი | 5 | 0 | 3 | 2 | 5:11 | 3 |
| ჰელმონდი | 5 | 0 | 3 | 2 | 5:11 | 3 |
| კამბური | 5 | 0 | 2 | 3 | 3:10 | 2 |
| ოსი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:14 | 2 |

## ინგლისი

### I ლიგა. VI ტური

ჯილინგემი — სკანთორპი 0:2; სუონსი — იოვილი 1:1; როტერჰემი — ნორთჰემპტონი 1:2; კარლისლი — ჩელნეტემი 2:0; პორტ ვეილი — დონკასტერი 1:2

### II ლიგა. VI ტური

დარლინგტონი — ტორკი 1:1; ჩესტერი — სუინდონი 0:2; გრიმსბი — მაკლსფილდი 1:1; ჰართლპული — ბოსტონი 2:1; ლინკოლნი — აკრინგტონი 3:1; უიკომბი — მენსფილდი 1:0; პიტერბრო — ბერი 0:1; სტოკპორტი — ბრსტოლი 2:1; *შრიუსბერი — რექსჰემი გადაიდო*

### კონფერენსლიგა. VI ტური

კემბრიჯი — ექსეტერი 1:3; ფორესტ გრინი — უოკინგი 2:3; გრეისი — ბარტონი 0:1; კიდერმინსტერი — რაშდენი 0:0; ოქსფორდი — სტ. ალბანსი 2:1; იორკი — სტეფორდი 0:0; ალტრინჰემი — დაგენემი 0:5

## შვედეთი

### სუპერეტა XVII ტური

ქვიდინგი — უმეა 4:2; ასირისკა — მიალბი 1:1; ბრომაპოიკარნა — ფალკენბერსი 2:0; იონკოპინგი — ლანდსკრონა 0:7; ვასბი — ლიუნგსკილე 2:3; *ნორჩიოპინგი — დეგერფორსი და იორებრო — ატვიდაბერგი დღეს გაიმართება*

## გერმანია

### სამხრეთ რეგიონალლიგა VI ტური

ჰოფენჰაიმი — კარლსრუე (მ) 3:2; პირმასენსი — ფულენდორფი 1:3; კიკერსი — დარმშტადტი 3:0; ელვერსბერგი — აალენი 0:1; ზიგენი — ბაიერნი (მ) 0:0; მიუნხენი (მ) — შტუტგარტი (მ) 1:4; ესენი — ლაუტერნი (მ) 2:0; როიტლინგენი — ზაარბრიუკენი 2:1; ვეენი — ინგოლშტადტი 2:3

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა VI ტური

ალენი — დორტმუნდი (მ) 0:2; ფორტუნა — მაგდებურგი 2:1; ჰამბურგი (მ) — ჰერტა (მ) 4:1; კილი — ვერდერი (მ) 2:2; ენდენი — ვილჰელმშავენი 1:3; ოსნაბრიუკი — ვუპერტალი 1:1; ზტ. პაული — უნიონი 0:0; გლადბახი (მ) — ლუბეკი 1:1; ერფურტი — დინამო დრეზდენი 0:2

## ბელგია

### II დივიზიონი III ტური

ანტვერპენი — ტუპიცე 3:0; მეხელენი — დენდერი 1:1; ოსტენდე — ეუპენი 4:0; რონსე — სტ. ჟილი 0:1; ვირტონი — დაინცე 2:1; ლომელი — ჰევერლე 1:2; კორტრაიკი — ვაასლანდი 2:1; ვარეგემი — ვიგორი 0:1; ტინენი — დესელი 1:4

## იტალია

### სერია C1/A. I ტური

ლუკეზე — ნოვარა 4:0; ივრეა — ვენეცია 1:2; მასეზე — ჩიტადელა 1:2; გროსეტო — პრო სესტო 2:1; მონცა — სანჯოვანეზე 4:1; პადოვა — პავია 1:1; პისტოპიეზე — პრო პატრია 1:0; პიციგეტონე — პიზა 0:0; სასუოლო — კრემონეზე 3:2

### სერია C1/B. I ტური

ანკონა — ტერამო 0:2; აველინო — გალიპოლი 2:0; ფოჯა — კავეზე 1:0; ჯულიანოვა — ტერნანა 0:2; სტაბია — მანფრედონია 2:0; ლანჩანო — სან მარინო 1:0; პერუჯა — სამბენედეტეზე 1:0; სალერნიტანა — მარტინა 2:0. ტარანტო — რავენა 1:0

## ამხანაგური მატჩები

შვეიცარია 1:0 ვენესუელა | ავსტრია 2:2 კოსტა რიკა

## აზიის თასი 2007. შესარჩევი ეტაპი

კორეა 1:1 ირანი | საუდეთი 1:0 იაპონია

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 38-11-14; 877 54 55 00

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **9 სექტემბერი** | | | | | | |
| 15:45 | 1 | ევერტონი-ლივერპული | 4.00 | 3.20 | 1.90 | 1.77 | 1.28 | 1.19 |
| 18:00 | 2 | არსენალი-მიდლსბრო | 1.27 | 4.60 | 12.00 | 1.00 | 1.14 | 3.32 |
| 18:00 | 4 | ბოლტონი-უოტფორდი | 1.70 | 3.40 | 4.80 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| 18:00 | 5 | ჩელსი-ჩარლტონი | 1.15 | 6.60 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.58 |
| 18:00 | 7 | პორტსმუთი-უიგანი | 1.85 | 3.30 | 4.10 | 1.18 | 1.27 | 1.82 |
| 18:00 | 8 | ნიუკასლი-ფულემი | 1.75 | 3.50 | 4.30 | 1.16 | 1.24 | 1.92 |
| 18:00 | 9 | შეფილდი-ბლექბერნი | 2.60 | 3.20 | 2.55 | 1.43 | 1.28 | 1.41 |
| 18:00 | 10 | მანჩესტერი-ტოტენჰემი | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| | | **10 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 12 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 2.10 | 3.30 | 3.20 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| | | **11 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 13 | რედინგი-სიტი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **9 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 464 | რომა-ლივორნო | 1.60 | 3.40 | 5.80 | 1.08 | 1.25 | 2.14 |
| 22:30 | 465 | ფიორენტინა-ინტერი | 2.90 | 2.90 | 2.50 | 1.45 | 1.34 | 1.34 |
| | | **10 ხექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 466 | ტორინო-პარმა | 1.90 | 3.10 | 4.20 | 1.17 | 1.30 | 1.78 |
| 17:00 | 467 | სამპდორია-ემპოლი | 1.70 | 3.20 | 5.30 | 1.11 | 1.28 | 1.99 |
| 17:00 | 468 | პალერმო-რეჯინა | 1.55 | 3.50 | 6.30 | 1.07 | 1.24 | 2.25 |
| 17:00 | 469 | მილანი-ლაციო | 1.55 | 3.50 | 6.30 | 1.07 | 1.24 | 2.25 |
| 17:00 | 470 | მესინა-უდინეზე | 2.90 | 2.90 | 2.50 | 1.45 | 1.34 | 1.34 |
| 17:00 | 471 | კიევო-სიენა | 1.80 | 3.10 | 4.70 | 1.13 | 1.30 | 1.86 |
| 17:00 | 472 | კალიარი-კატანია | 1.70 | 3.00 | 6.00 | 1.08 | 1.32 | 2.00 |
| 17:00 | 473 | ატალანტა-ასკოლი | 1.80 | 3.10 | 4.70 | 1.13 | 1.30 | 1.86 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **9 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 224 | ოლიმპიაკოსი-პაოკ | 1.30 | 4.40 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 3.05 |
| 20:00 | 226 | ატრომიტოსი-აეკ | 4.00 | 3.10 | 1.90 | 1.74 | 1.28 | 1.17 |
| 22:00 | 231 | პანათინაიკოსი-ქსანთი | 1.35 | 4.00 | 10.00 | 1.00 | 1.18 | 2.85 |
| | | **10 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 223 | ირაკლისი-ოფი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 18:00 | 227 | ეგალეო-არისი | 2.45 | 2.90 | 2.90 | 1.32 | 1.32 | 1.45 |
| 22:00 | 228 | ერგოტელისი-პანიონიოსი | 2.30 | 3.00 | 3.00 | 1.30 | 1.30 | 1.50 |
| 18:00 | 229 | იონიკოსი-კალამარია | 1.60 | 3.20 | 6.00 | 1.06 | 1.26 | 2.08 |
| 18:00 | 230 | კერკირა-ოლიმპია | 2.35 | 3.00 | 3.00 | 1.31 | 1.31 | 1.50 |
| | | **თურქეთი** | | | | | | |
| | | **9 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 235 | კაისერი-გენჩლერბირლიგი | 2.00 | 3.30 | 3.40 | 1.24 | 1.25 | 1.67 |
| 22:45 | 240 | დენიზლი-გალათასარაი | 6.50 | 3.60 | 1.50 | 2.31 | 1.21 | 1.05 |
| 20:00 | 242 | ფენერბაჰჩე-ანტალია | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |
| | | **10 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 233 | ანკარა-რიზე | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 21:00 | 234 | კონია-სივასპორი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 21:00 | 236 | მანისა-ერჯიესი | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 22:45 | 237 | ბეშიქთაში-ტრაბზონი | 1.65 | 3.60 | 4.50 | 1.13 | 1.20 | 2.00 |
| 20:00 | 239 | ბურსა-საკარია | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 21:00 | 244 | გაზიანთეფი-ანკარაგიუჯიუ | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **10 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 296 | ჰამარი-ოდ გრენლანდი | 2.20 | 3.30 | 3.00 | 1.32 | 1.26 | 1.57 |
| 20:00 | 297 | სანდეფიორდი-რუსენბორგი | 4.50 | 3.70 | 1.65 | 2.03 | 1.20 | 1.14 |
| 20:00 | 298 | მოლდე-ვიკინგი | 2.15 | 3.30 | 3.00 | 1.30 | 1.25 | 1.57 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 299 | ტრომსიო-ლინი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 20:00 | 300 | ვოლერენგა-ფრედრიკსტადი | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| 22:00 | 301 | სტარტი-ლილესტრიომი | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| | | **11 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 302 | სტაბეკი-ბრანი | 2.65 | 3.30 | 2.45 | 1.46 | 1.27 | 1.40 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **4 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:45 | 303 | ბრინი-სტრიომსგოდსეტი | 2.60 | 3.40 | 2.35 | 1.47 | 1.23 | 1.38 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **4 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 317 | ნორჩიოპინგი-დეგერფორსი | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| 21:00 | 318 | იორებრო-ატვიდაბერგი | 1.55 | 3.70 | 4.70 | 1.09 | 1.16 | 2.07 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **4 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 332 | კორკი-სტ.პატრიკსი | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| | | **ეჩ 2008 შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **6 სექტემბერი** | | | | | | |
| 14:00 | 395 | ისრაელი-ანდორა | 1.05 | 8.50 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 5.96 |
| 14:00 | 396 | აზერბაიჯანი-ყაზახეთი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 19:00 | 397 | რუსეთი-ხორვატია | 2.10 | 3.10 | 3.30 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 19:30 | 398 | ლიტვა-შოტლანდია | 2.50 | 3.10 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| 20:00 | 400 | სომხეთი-ბელგია | 6.50 | 4.10 | 1.40 | 2.51 | 1.15 | 1.04 |
| 21:00 | 401 | თურქეთი-მალტა | 1.03 | 8.00 | 30.00 | 1.00 | 1.00 | 6.31 |
| 21:00 | 402 | ფინეთი-პორტუგალია | 4.50 | 3.50 | 1.65 | 1.96 | 1.20 | 1.12 |
| 21:00 | 403 | ნორვეგია-მოლდოვა | 1.25 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.10 |
| 21:00 | 404 | ბულგარეთი-სლოვენია | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 21:30 | 405 | შვედეთი-ლიხტენშტაინი | 1.03 | 8.50 | 30.00 | 1.00 | 1.00 | 6.62 |
| 22:00 | 406 | ალბანეთი-რუმინეთი | 4.00 | 3.20 | 1.80 | 1.77 | 1.24 | 1.15 |
| 22:05 | 407 | ისლანდია-დანია | 4.50 | 3.40 | 1.65 | 1.93 | 1.20 | 1.11 |
| 22:15 | 408 | სლოვაკეთი-ჩეხეთი | 2.75 | 3.00 | 2.40 | 1.43 | 1.28 | 1.33 |
| 22:15 | 409 | ბოსნია-უნგრეთი | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 22:30 | 410 | ჰოლანდია-ბელარუსი | 1.20 | 5.00 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.52 |
| 22:30 | 411 | პოლონეთი-სერბეთი | 2.20 | 3.10 | 2.95 | 1.28 | 1.26 | 1.51 |
| 22:45 | 412 | სან მარინო-გერმანია | 45.00 | 9.00 | 1.01 | 7.50 | 1.00 | 1.00 |
| 23:00 | 413 | საფრანგეთი-იტალია | 2.15 | 3.00 | 3.10 | 1.25 | 1.26 | 1.52 |
| 23:00 | 414 | მაკედონია-ინგლისი | 9.00 | 4.60 | 1.25 | 3.04 | 1.09 | 1.00 |
| 23:15 | 415 | ჩრდ.ირლანდია-ესპანეთი | 10.00 | 4.50 | 1.25 | 3.10 | 1.11 | 1.00 |
| | | **ეჩ. შესარჩევი მატჩები(21)** | | | | | | |
| | | **5 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 431 | საფრანგეთი(21)-სლოვენია(21) | 1.20 | 4.60 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.24 |
| 21:00 | 432 | დანია(21)-შვედეთი(21) | 2.00 | 3.10 | 3.30 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| 22:20 | 433 | გერმანია(21)-რუმინეთი(21) | 1.25 | 4.70 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.08 |
| 23:00 | 434 | ესპანეთი(21)-სლოვაკეთი(21) | 1.20 | 4.90 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.38 |
| 23:00 | 435 | იტალია(21)-ავსტრია(21) | 1.20 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.33 |
| 23:45 | 436 | პორტუგალია(21)-პოლონეთი(21) | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | **6 სექტემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 437 | რუსეთი(21)-უნგრეთი(21) | 1.30 | 4.20 | 7.80 | 1.00 | 1.11 | 2.73 |
| 18:30 | 438 | ჩეხეთი(21)-ბელარუსი(21) | 1.40 | 4.10 | 6.30 | 1.04 | 1.14 | 2.48 |
| 19:00 | 439 | ნორვეგია(21)-ბოსნია(21) | 1.70 | 3.40 | 4.10 | 1.13 | 1.20 | 1.85 |
| 19:00 | 440 | სერბეთი(21)-ლიტვა(21) | 1.30 | 4.20 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.81 |
| 20:00 | 441 | თურქეთი(21)-ისრაელი(21) | 1.40 | 3.70 | 6.70 | 1.01 | 1.15 | 2.38 |
| 21:30 | 442 | შვეიცარია(21)-ინგლისი(21) | 2.55 | 3.20 | 2.40 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| 22:30 | 443 | ბელგია(21)-საბერძნეთი(21) | 2.00 | 3.10 | 3.20 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 22:30 | 444 | ხორვატია(21)-უკრაინა(21) | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |

# ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B დივიზიონი

## თბილისი. 3 სექტემბერი. სპორტის სასახლე

## საქართველო 86:44 ლუქსემბურგი

## 20:15 27:11 17:13 22:5

| | ნთ | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მ.ფ. | ს.ფ. | სულ | პასი | დკ. | ჩქ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტაირონ ელისი | 27 | 0/0 | 4/9 | 0/0 | 1 | 3 | 4 | 5 | 3 | 1 | 12 |
| ანატოლი ბოისა | 15 | 1/3 | 0/1 | 0/0 | 1 | 2 | 3 | 2 | 2 | 0 | 2 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | 25 | 2/5 | 1/5 | 4/6 | 2 | 2 | 4 | 1 | 0 | 2 | 12 |
| ვლადიმერ ბოისა | 18 | 3/3 | 1/3 | 2/2 | 3 | 0 | 3 | 2 | 1 | 1 | 11 |
| ზაზა ფაჩულია | 26 | 3/11 | 0/0 | 1/6 | 3 | 2 | 5 | 1 | 2 | 3 | 7 |
| გიორგი ცინცაძე | 21 | 3/4 | 3/3 | 0/0 | 0 | 4 | 4 | 3 | 4 | 1 | 15 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | 12 | 3/9 | 0/0 | 1/2 | 2 | 3 | 5 | 1 | 0 | 0 | 7 |
| ვიქტორ სანიკიძე | 21 | 3/3 | 0/1 | 0/0 | 1 | 4 | 5 | 1 | 1 | 3 | 6 |
| ნიკა ცქიტიშვილი | 13 | 2/2 | 1/4 | 0/0 | 1 | 3 | 4 | 0 | 1 | 0 | 7 |
| დავით უგრეხელიძე | 6 | 2/3 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 |
| გიორგი შერმადინი | 4 | 1/1 | 0/0 | 0/0 | 0 | 3 | 3 | 0 | 1 | 0 | 2 |
| ლაშა გამყრელიძე | 13 | 0/0 | 0/1 | 2/2 | 0 | 0 | 0 | 6 | 1 | 4 | 2 |

| | ნთ | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მ.ფ. | ს.ფ. | სულ | პასი | დკ. | ჩქ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტომ შუმახერი | 34 | 0/2 | 3/5 | 0/0 | 0 | 2 | 9 | 9 | 9 | 1 | 9 |
| ჟან მარკ მელხიორი | 30 | 0/4 | 0/1 | 1/2 | 0 | 4 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 |
| იარო დელგადო | 27 | 1/3 | 1/3 | 0/0 | 1 | 1 | 2 | 0 | 3 | 0 | 5 |
| მარტინ რანიაკი | 40 | 8/13 | 0/1 | 3/3 | 1 | 6 | 7 | 2 | 9 | 2 | 19 |
| ალვინ ჯონსი | 34 | 2/7 | 0/0 | 1/4 | 2 | 9 | 11 | 2 | 3 | 0 | 5 |
| ჟილეს ბახი | 11 | 1/1 | 0/1 | 1/2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 1 | 3 |
| ფრანკ მიულერი | 4 | 0/1 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ერიკ ჯეტსი | 8 | 0/0 | 0/1 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 |
| სემი პიკარდი | 11 | 1/2 | 0/2 | 0/0 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 |

ნთ — ნათამაშები დრო; 2-ქ. — ორქულიანი; 3-ქ. — სამქულიანი; საჯ. — საჯარიმო; მ.ფ. — მოხსნა მეტოქის ფარზე;
ს.ფ.— მოხსნა საკუთარ ფარზე; დკ. — დაკარგვა; ჩქ. — ჩაქრა; ქ. — ქულა

# ლუქსემბურგის ბადი ორთაჭალის ბაღია?!

## სუსტი მეტოქის გაფაჩუნება ფაჩულიად დაგვიჯდა

**ირაკლი პერტაია**

**ლუქსემბურგი** იყო და შესაბამისად, საფრთხეც ნაკლები, თუმც იმაზე უარესი მოხდა, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო. საქართველო რომ ლუქსემბურგთან არ წააგებდა, ორჯერ ორივით იყო. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი მომდევნო, 6 სექტემბრის ავსტრიული მატჩი გახლავთ. ჰოდა, ლუქსემბურგთან სავარჯიშო ხასიათის მატჩს შეეწირა ქართველთა მთავარი იმედი ზაზა ფაჩულია, რომელმაც ნერვები ვერ მოთოკა და მეტოქესთან დაკა-დაკის გამო დისკვალიფიკაცია დაიმსახურა.

ეს ნიშნავს, რომ ფაჩულია ავსტრიაში არ ითამაშებს, სადაც ქართველებს უპრინციპულესი მატჩი ელით მასპინძელთა საკმაოდ ძლიერ გუნდთან. ისე, ერთიცაა, ასეთი ფაჩულია, გუშინ რომ ვიხილეთ, ბევრით ვერაფრით დაეხმარება საქართველოს ნაკრებს. მისი მოედნიდან გაძევების მიზეზიც ალბათ უბარაქო თამაში გახლდათ. ზაზა მთელი შეხვედრის მანძილზე განიცდიდა ლუქსემბურგის ნატურალიზებული ამერიკელის, ელვინ ჯონსის ზეწოლას, ხან ჩაგრავდა, ხან იჩაგრებოდა და ერთ მომენტშიც სპორტული დაპირისპირება მუშტიკრივში გადაიზარდა.

ჩხუბი სანაკრებო მატჩებში დიდი იშვიათობაა, აქ კი ისეთი ჯახაჯუხი ატყდა, საქართველოს ჩემპიონატსაც რომ კარგა ხანია, არ ახსოვს. მატჩი თითქმის მოთავებული იყო — საქართველო 40 ქულას იგებდა, საფინალო სირენამდე კი ორიოდ წუთი რჩებოდა. ფაჩულიამ, რომელსაც მხოლოდ 7 ქულა და 5 მოხსნა ჰქონდა მოხვეჭილი, შეტევაში ბურთი დაკარგა, უფრო სწორად, ჯონსს ვერ გასცდა და დაცვისკენ გამოქცეულმა თავის გამამწარებელს გზად კეფაში წაუთაქა. ისე გამოჩნდა, რომ ჯონსისთვის ჯობდა, დაერტყათ, ვიდრე თავში ასე დამცინავად წამოერტყათ... ლუქსემბურგელი ფაჩულიას მოუტრიალდა და ეგრევე ტარანზე გადავიდა. საქმეში ქართველი სათადარიგოები ჩაერთვნენ, კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანიც შუაში ჩადგა, გააფთრებული ჯონსი კი მაინც ვერ დააშოშმინეს.

ასე იყო თუ ისე, ჩხუბი შეწყდა, მსაჯმა ორივე მოშუღარი მოედნიდან გაისტუმრა და ლუქსემბურგელების დანაკლისს არ ვკითხულობთ, ფაჩულია ავსტრიაში ტურისტად აქცია.

ისე, ლუქსემბურგი უძახე და, თავიდან არაფრით ტყდებოდა. პირველი მეოთხედი ქართველებმა 20:15 მოიგეს და ვერ ვიტყვით, მეტოქეს ბევრით აჯობესო. საქართველო მძიმედ თამაშობდა, რაც მეტოქის სისუსტიდან გამომდინარე, ცოტა უხერხული კი გახლდათ, მაგრამ არა მოულოდნელი. განახლებული საქართველოს ნაკრები პირველ ოფიციალურ მატჩს თამაშობდა და ბოლომდე გასახსნელად ლამის ერთი ტაიმი დასჭირდა.



ნამატჩევს ჩვენი ნაკრების თავკაცმა გორდონ ჰერბერტმა განაცხადა, გუნდის თამაშით მთლიანობაში კმაყოფილი ვარ, მაგრამ იყო მომენტები, როცა მოთამაშეებმა დაგეგმილი ტაქტიკური მონახაზი ვერ შეასრულესო.

მწვრთნელისთვის შეფასება იოლია, რადგან მხოლოდ თავად იცის, რა დაავალა შეგირდებს და რომელ მომენტში ვინ სად უნდა იდგეს. ტრიბუნიდან კი ის გამოჩნდა, რომ ნაკრებმა უფრო ბრძოლისუნარიანობისა და კლასის ხარჯზე იმარჯვა, ვიდრე ტაქტიკური გამჭრიახობით.

პირადად მე რაც ყველაზე მეტად მესიამოვნა ამ მატჩში, ის იყო, რომ ახალგაზრდა გიორგი ცინცაძემ დიდი კალათბურთი ითამაშა და წყალი შეუყენა აზრს, თითქოს ნაკრებს ერთი ნატურალიზებული გამთამაშებელი აუცილებლად სჭირდება. ახლა ეგებ სჭირდება კიდეც, მაგრამ თუ ასე გააგრძელა, ცინცაძეს შემცვლელი არ ეყოლება ამ პოზიციაზე.

გიორგი მოედანზე ყველაზე სწრაფი, ზუსტი, მოქნილი და ელეგანტური იყო. რაც ისროლა, ყველა სამქულიანი ჩააგდო, მეტოქეებს აბრუებდა და მრავალთან ერთად ერთი ისეთი ჯადოსნური პასი გამოუცხო ზაზა ფაჩულიას, რომ ეს ნბა-ში ნაბურთავები მოთამაშეც კი ალაფრთოვანა, მაყურებელი ხომ საერთოდ.

ტაირონ ელისი ბევრად კარგი მსროლელი ყოფილა, ვიდრე გამთამაშებელი. მართალია, მას 5 პასი მოუგროვდა, მაგრამ ალალად უნდა ითქვას, ამ საქმეში შემონდ უილიამსის აჩრდილია.

შედეგიან გადაცემებში ელისს გიორგი გამყრელიძემ აჯობა, რომელმაც ამერიკელზე ორჯერ ცოტა ხანი გაატარა მოედანზე.

სათამაშო დროის გადანაწილება კარგად გამოუვიდა ჰერბერტს. ყველას მიეცა თამაშის უფლება და ახალგაზრდა გიორგი შერმადინის დებიუტიც შედგა. სირენამდე 4 წუთით ადრე 215-სანტიმეტრიანი ცენტრი თამაშში ჩაერთო და 2 ქულა და 3 მოხსნა მოინაგრა.

საერთოდ, ყველა ქართველმა ნორმალურად ითამაშა, ვინც მოედანზე შედგა ფეხი. მეტოქე იძლეოდა ამის საშუალებას და მეორე მოეთხედის ბოლოს ლუქსემბურგელები რომ გატეხეს, ქართველებმა თამაშის ბოლომდე აღარ დააგდეს სიჩქარე. ვლადიმერ ბოისა, მისი ძმა ანატოლი, მანუჩარ მარკოიშვილი, ნიკა ცქიტიშვილი და ვახტანგ ნაცვლიშვილი — ყველა საქებრად თამაშობდა.

არავის ეგონა, რომ ქართველებს ლუქსემბურგთან გაუჭირდებოდათ და მოიპოვეს კიდეც იოლი გამარჯვება, მაგრამ ეს ხომ ის მატჩი არ იყო, ჰერბერტის გუნდის რეალური შესაძლებლობები გამოეჩინა.

ასეთი მატჩი ზეგ ავსტრიაშია — თან ფაჩულიას გარეშე...

**ფინეთი 87:50 ავსტრია**



AFP საიტიდან

# მსოფლიო წითელ-ყვითელ ჩითებში

3 სექტემბერი. საიტამა

**ესპანეთი 70:47 საბერძნეთი**

18:12 25:11 11:11 16:13

**ესპანეთი:** კალდერონი (7), ნავარო (20), ხიმენესი (4 ქულა, 11 მოხსნა), გარბახოსა (20 ქულა, 10 მოხსნა), რეიესი (10); ბ. როდრიგესი (6), მ. გასოლი (2), კაბეზასი (1), ს. როდრიგესი, ფერნანდესი, მუმბრუ

**საბერძნეთი:** დიამანტიდისი (4), ხაძივრეტასი, კაკიუზისი (17), ფოცისი (7), პაპადოპულოსი (2); პაპალუკასი (10), სპანულისი (4), შორციანიტისი (2), დიკუდისი (1), ცარცარისი, ვასილოპულოსი

„პაუც თამაშობს" — გულზე ასეთი წარწერით გამოვიდნენ ესპანელები ფინალის წინ მოედანზე. პაუ გასოლი არ თამაშობდა, ესპანელთა ლომივით ფაფარაშლილი და დიდ გამარჯვებებს მოწყურებული ლიდერი არგენტინასთან სასტიკ ნახევარფინალურ შეტაკებაში დაეცა ბრძოლის ველზე და მასთან ერთად ფინალამდელ სულმოკლე პროგნოზებში გვარიანად დაეცა ესპანელთა ჩემპიონობის შანსიც.

სამაგიეროდ, აიწია ბერძნების აქციათა ფასმა. მათ ხომ თვით ამერიკა დაამარცხეს? მეორეც, ესპანელებს ხვდებოდნენ, რომლებიც ყოველთვის ყველა ტურნირზე ახერხებენ თითო თამაშის წაგებას ყბადაღებული ესპანური კომპლექსის თუ სხვა რამ უხილავი მიზეზის გამო.

პაუ გასოლი სკამზე ვერ ჩერდებოდა, სულ (ცალ) ფეხზე იყო და ყველაფერს უფრო მძაფრად განიცდიდა, ვიდრე მოედანზე ყოფნისას. მაგრამ გუშინ საიტამას არენაზე ესპანეთს არ სჭირდებოდა პაუ. მისი თანაგუნდელები მის გარეშე, მის მაგივრად, მისთვის თამაშობდნენ, ყოველი მოხსნისთვის, ჩაჭრისთვის ბოლომდე იბრძოდნენ და პირველ რიგში საკუთარ თავს და ხალხს დაუმტკიცეს, რომ არავისზე ნაკლებები არ არიან და თუ ვინმე იმსახურებს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს, პირველ რიგში ისინი.

ნაკლები კი არა, ესპანელებმა პირწმინდად წალეკეს ბერძნები, რომლებმაც, როგორც გამოჩნდა, ამერიკელებს შეახარჯეს მთელი ენერგია და ემოცია და ახლა გაოგნებულები ახოცავდნენ თავს ესპანურ დაცვით სიმაგრეს, რომელიც არასოდეს არ ყოფილა ასე მობილური და თან ასე მტკიცე.

სკამზე მბორგავი პაუ თანაგუნდელთა ყურებაში მალე დამშვიდდა. კონკრეტულად მის ნაცვლად მოთამაშე ესპანელებს არაფერი გაუფუჭებიათ. პირიქით, სწორედ მათ დაუდეს სათავე ქვეყნის ისტორიაში უდიდეს გამარჯვებას. თითქოს მართლაც მათში ჩასახლებულიყოს უძლიერესი ესპანელი კალათბურთელის დაუცხრომელი სული და ბრძოლის ჟინი. ძირითად ცენტრად გამწესებულმა ფელიპე რეიესმა პირველი 10 ქულიდან 6 თავად გააკეთა, 10:9 დააწინაურა თავისიანები და ესპანეთს უკან აღარც მოუხედავს. რეიესის საქმე პაუს უმცროსმა ძმამ მარკ გასოლმა გააგრძელა და ამ ფრაზის პირდაპირი მნიშვნელობით, ხელი არ გაანძრევინა ნახევარფინალში ამერიკელთა დამანგრეველ მოზვერივით ცენტრ სოფოკლის შორციანიტისს, ვისი ხელითაც სულ ამაოდ ცდილობდნენ ბერძნები ესპანური კალათის ამოვსებას. მანამდე არც ბერძენთა მთავარ დადკაც ლაზაროს პაპადოპულოსს გამოსდიოდა რამე. ბერძენთათვის ეს მძიმე დარტყმა იყო, მათი გუნდი ხომ პოზიციურ შეტევაში ფარქვეშეთიდან ცდილობდა მეტოქეთა დაცვის მორყევას და იაპონიაში ეს ყველასთან გამოუვიდა, ამერიკელებთანაც კი. ესპანელებმა კი შორციანიტისისგან დიდი შავი ჩრდილიღა დატოვეს, რომელიც პანაიოტის იანაკისმა ბარე შვიდჯერ შეიყვანა და გაიყვანა თამაშიდან. ბოლოს ამ ჩრდილმა პირსახოცში ჩამალა თავი და იქიდან მხოლოდ მაშინ იჭყიტებოდა ცალი თვალით, როცა მისიანები აქაიქ რალაც სასწაულით ახერხებდნენ ბურთის კალათში ჩაკიდებას.

ბერძნებისთვის მეორე დიდი დარტყმა მათი სასიქადულო გამთამაშებლის თეო პაპალუკასის უსუსური თამაში იყო, პატარ-პატარა დარტყმებს კი ნულარ გამოვეკიდებით. ესპანელებისთვის არც პაპალუკასი იყო პრობლემა და არც სხვა. ისინი არავის ახარებდნენ, ყველა მსროლელის ჩარაზვას ასწრებდნენ, თან სულაც არ უხეშობდნენ, ჯარიმების გარეშეც ათმობინებდნენ მეტოქეს ბურთს, რომელთაც შეტევაში ბერძნებზე გაცილებით ნაკლები ძალდატანების გარეშე აქცევდნენ ქულებად.

პირველი მეოთხედის ბოლოს კალდერონმა სამიანი ჩააგდო, ნავარომ სამიანიც და ორიანიც და 10-წუთეულიც 18:12 დამთავრდა. გუნდებმა ცოტა შეისვენეს და ესპანელებმა გაორმაგებული მონდომებით განაგრძეს ბერძენთა განადგურება. მატჩის საუკეთესო მოთამაშე ხორხე გარბახოსა შავ სამუშაოსაც გადასარევად ასრულებდა და თეთრსაც. დაცვაში ხომ შეუვალი იყო და შეტევაშიც გამოილო ხელი, პერიმეტრზე ამოვიდა და აქედან ისე დაუშინა ბერძნებს სამქულიანები, ნებისმიერ უკანახაზელს შეშურდებოდა. მეორე 10-წუთეულში 3 სამიანი ჩააგდო, ჯერ 28:12 დააწინაურა თავისიანები, ტაიმი კი 43:23 მოაგებინა.

23 ქულა 20 წუთში! აქედანაც ჩანს, როგორ უჭირდათ ბერძნებს შეტევაში. ნეტავ, ამერიკელებმა თუ უყურეს ამ თამაშს, რომელთაც ბერძნებს 101 ქულის ჩაგდების უფლება უწყალობეს? ესპანეთს არც მეორე ტაიმში მოუშვია სადავე, აქ 24 ქულა აკმარა მეტოქეს, რომელიც შერცხვენილი და განადგურებული იმასლა ცდილობდა, მსოფლიოს ჩემპიონობისთვის უკვე დიდი ხნის წინ წაგებულ ბრძოლაში საპატიო ანგარიშით მაინც დამარცხებულიყო. თავად განსაჯეთ, რამდენად გამოუვიდათ ევროპის ჩემპიონებს — 47 ქულა მთელ თამაშში!

ესპანეთი კი პირველად გახდა რაღაცის ჩემპიონი, რაღაცის კი არა, მსოფლიოსი და ასე ლამაზად გადაუსვა წითელ-ყვითელი ხაზი ლამის მარადიულად ქცეულ უიღბლობას. ცალი ფეხით, ორივე ხელით და მთელი გულით ხარობდა პაუ გასოლი, რომელსაც საკუთარმა ნიჭმა და ხასიათმა მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშის ტიტული მოუტანა. ბედისწერამ მას ფინალი წაართვა, მაგრამ სამაგიეროდ მან და მისმა თანაგუნდელებმა ესპანეთს დიდზე დიდი სიხარული აჩუქეს.

**ირაკლი ფირაშვილი**

## შარშანწინდელიც კი მახსოვს

### მე-3 ადგილისთვის

2 სექტემბერი. საიტამა

**აშშ 96:81 არგენტინა**

21:27 29:22 19:13 27:19

**აშშ:** ვეიდი (32), ჯეიმსი (22), ენტონი (15), ბრენდი (11)

**არგენტინა:** სკოლა (19), ნოჩიონი (18), დელფინო (13), ჯინობილი (10)

ამერიკელები იაპონიაში ოქროსთვის ჩავიდნენ, მაგრამ ბრინჯაოთი დაკმაყოფილება მოუწევთ, ისევე, როგორც 2 წლის წინ ათენის ოლიმპიადაზე. ამ ბაცი ბრჭყვიალების მედალთან ერთად მათ გულს ისლა თუ მოუფონებთ, რომ არგენტინა დასცეს და 2004 წელს ათენში, ნახევარფინალში და 2002 წელს ინდიანაპოლისის მუნდიალზე ჯგუფურ ეტაპზე მარცხისთვის ჯავრი იყარეს. არგენტინა ხომ ის გუნდია, ოთხი წლის წინ პირველმა რომ შეაჭამა მარცხის მწარე ლუკმა ნბა-ს ვარსკვლავებით თავმომწონე ამერიკის ნაკრებს.

მესამე ადგილისთვის მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოვიდა. არგენტინელები პირველ მეოთხედში 12:4 დაწინაურდნენ და მერეც მთელი შეხვედრა აწვალეს მეტოქე. ამერიკელებმა ბოლო მეოთხედი მხოლოდ 7-ქულიანი უპირატესობით დაიწყეს, მაგრამ დუეინ ვეიდმა უკანასკნელ 10 წუთში 18 ქულა გააკეთა და ოლიმპიური ჩემპიონები იაპონიიდან უმედლოდ გაუშვა.

### მე-5 ადგილისთვის

**საფრანგეთი 64:56 თურქეთი**

20:7 15:13 14:23 15:13

**საფრანგეთი:** პიეტრუსი (12), ვეისი (11)

**თურქეთი:** ასტური (15), აქიოლი (10)

### მე-7 ადგილისთვის

**ლიტვა 77:62 გერმანია**

**ლიტვა:** ლავრინოვიჩი (18), კლიეზა (16)

**გერმანია:** ნოვიცკი (18), ოკულაია (10)

# მატჩება გვატემალაში

## თავისუფლებმა ორი ვერცხლით დაიწყეს

**შორეულ** გვატემალაში, რომელიც სადღაც ცენტრალურ ამერიკაში, უფრო სწორად კი, ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთში მდებარეობს, ახალგაზრდა მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი გრძელდება და ბერძენ-რომაელების შემდეგ ხალიჩაზე თავისუფალი სტილის მიმდევრები გავიდნენ.

შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდა კლასიკოსთა შორის ქართველებმა ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და თავისუფალთა პაექრობის პირველი დღის შემდეგ კი, ჩვენი მოჭიდავეების მონაგარი ასევე ორი, ოღონდაც ხარისხობრივად უფრო მაღალი, ვერცხლის მედალია.

გვატემალას დროით შაბათს, ჩვენთვის კი კვირას, გამთენიისას ხალიჩაზე 50, 60, 74 და 96 კილოგრამი წონითი კატეგორიის მოჭიდავეები გავიდნენ. საქართველოს ღირსებას, შესაბამისად, გივი დავიდოვი, გიგლა მაკიშვილი, თორნიკე სვანიძე და დავით მოძმანაშვილი იცავდნენ. ამათგან დავიდოვმა და სვანიძემ თავიდანვე წააგეს და, შესაბამისად, მხოლოდ მე-17 და 22-ე ადგილები დაიკავეს. აი, მაკიშვილმა და მოძმანაშვილმა კი ბოლომდე იჭიდავეს, ფინალებს უწიეს და იქლა წააგეს.

60 კგ. წონითი კატეგორიის ფინალში მაკიშვილი ირანელ მეჰდი კერმან თაგავისთან დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა, ბრინჯაოს მედლები კი ყაზახმა სამატ შაქუროვმა და იაპონელმა ოსავა შიგეკიმ მოიპოვეს. რაც შეეხება 96 კგ. წონაში მოჭიდავე მოძმანაშვილს, მან გადამწყვეტი ორთაბრძოლა რუს ალან ლოხოვთან დათმო. მესამე ადგილებზე კი თურქი რიზა ილდირაი და უკრაინელი ვიქტორ კუკოტი გავიდნენ.

კიდევ ერთმა ქართველმა, ოღონდაც უკრაინის სახელით მოასპარეზე გია ჩიხლაძემ 74 კგ. წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

დანარჩენ ოთხ წონით კატეგორიაში ჩემპიონებისა და პრიზიორების ვინაობა გუშინ, ჩვენი დროით კი დღეს გამთენიისას გაირკვეოდა.



# ფელიქსი ფენიქსია

## ორი წლის შემდეგ სანჩესი ისევ პირველია

**გახსოვთ,** ფელიქს სანჩესი? ეს დომინიკანელი მძლეოსანი 400 მეტრზე თარჯრბენში ზედიზედ რამდენიმე წელი მეტოქეებს მუდამ ზურგსუკან იტოვებდა ხოლმე და ბოლოს, გამარჯვებით სერია ათენის ოლიმპიადაზე მოპოვებული ოქროს მედლით დააგვირგვინა. მერე სანჩესმა ტრავმა მიიღო და მთელი ორი წელიწადი თვალსაწიერიდან გაქრა. წელს სანჩესი კი დაბრუნდა, მაგრამ 29 წლის მძლეოსანს გაუჭირდა ძველებური ფორმის აღდგენა და შაბათ საღამომდე მისი საუკეთესო საამსეზონო შედეგი 49,72 წამი იყო, რაც ოლიმპიური ჩემპიონისთვის სატრაბახო ნამდვილად არ გახლავთ.

და აი, შაბათს, იტალიურ პადუაში გამართული შეჯიბრის მაყურებლებმა ძველებური სანჩესი იხილეს — დომინიკანელმა სტადიონის ერთ წრეს, თავის თარჯებიანად 49,10 წამში შემოურბინა და ოთხი მეასედი წამით ჩამოიტოვა მის არყოფნაში მსოფლიოს ჩემპიონად ნაკურთხი ამერიკელი ბერშონ ჯექსონი.

სანჩესის გამარჯვება პადუას სამძლეოსნო ტურნირის ერთ-ერთ, ოღონდ არა ერთადერთ მშვენებად იქცა. არადა, ეს შეჯიბრი ერთი დღით უსწრებდა „ოქროს ლიგის" სერიის დასკვნით, ბერლინურ ეტაპს და იტალიაში მაღალ შედეგებს ბევრი არ ელოდა. არადა, პირიქით მოხდა.

რად ღირს, თუნდაც რუმინელი სამსხტომელის მარიან ოპრეას მიერ ნაჩვენები შედეგი — 17,56 მეტრი, რომელიც მიმდინარე სეზონში, მხოლოდ ყველაფრის ჩემპიონი შვედის კრისტიან ოლსონის ნახტომებს ჩამოუვარდება. ოპრეამ კარიერისა და თავისი ქვეყნის რეკორდები დაამყარა და მთელი 22 სანტიმეტრით ჩამოიტოვა უკან მეორე ადგილზე გასული სლოვაკი დმიტრი ვალუკევიჩი.

სეზონის მიწურულს ბრწყინვალე ფორმაში იმყოფება კუბელი თინეჯერი დაირონ რობლესი, ვისი სახითაც 110 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიოს რეკორდსმენსა და ოლიმპიურ ჩემპიონს, ჩინელ ლიუ ხიანგს უსერიოზულესი მეტოქე ეზრდება. რობლესმა პადუაში ათი თარჯით გამართული 110 მეტრი 13,04 წამში დაფარა და რვა მეასედით აჯობა იუნიორთა შორის მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს, ამერიკელ ერის მერიტს.

მიმდინარე, თუმც უკვე ფინიშის სწორზე გასული სეზონის მეორე შედეგი აჩვენა კაცთა 800 მეტრზე სირბილში რომაული „ოქროს ლიგის" ეტაპის მომგებმა ამინე ლაალოუმ, რომელმაც სტადიონის ორ წრეს წუთსა და 43,25 წამში შემოურბინა და უახლოესი მდევრები ორ წამზე მეტით ჩამოიტოვა.

**გია მუჯირი**







ფელიქს სანჩესმა გამარჯვების გემო გაიხსენა, მარიან ოპრეამ კი კარიერის რეკორდი დაამყარა



ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამი ერი 2006

2 სექტემბერი. რუსტენბურგი

**სამხრეთ აფრიკა 21:20 ახალი ზელანდია**

**სამხრეთ აფრიკა:** ფური, ნდუნგანე, ოლივერი, ვილერი, ჰაბანა, პრეტორიუსი, პრეეცი, ფენტერი, სპისი, ვანენბურხი, მეტფილდი, მიულერი, ბოთა, სმიტი (კაპ), ოზ დურანტი

შეცვლაზე შევიდნენ: სეფაკა, კრონხე, პიენაარი, პოლსე

2ლ: ჰაბანა, ვანენბურხი; 1ბ: პრეტორიუსი; 3ს: პრეტორიუსი

**ახალი ზელანდია:** ჰაულეტი, როკოსოკო, მუილაინა, მეიჯორი, სივივატუ, კარტერი, კოანი, სოოლაიო, მაკქოუ (კაპ), კოლინზი, უილიამსი, ჯეკი, ჰეიმანი, ორი, ვუდკოკი

შეცვლაზე შევიდნენ: იტონი, ოლივერი, ჰოლა, მაკალისტერი, გიარი

2ლ: კარტერი, როკოსოკო; 2ბ: კარტერი; 2ს: კარტერი

# შეწყვეტილი სერიები

## აფრიკამ -6 დაასრულა, ზელანდიამ +16

**ბოლოსწინა** ტურში სამხრეთ აფრიკამ მატჩი-ტრილერი მოუგო ახალ ზელანდიას და ექვსმატჩა მოუგებელი სერია შეწყვიტა.

წლევანდელ სამ ერზე, რომელიც პირველად ტარდება სამ წრედ, სამხრეთ აფრიკას აქამდე არ გაემარჯვა და სატურნირო ცხრილში ოდენ ერთი ქულა ეწერა, რაკი ამას წინათ ავსტრალიასთან შვიდზე ნაკლები ბურთით წააგო და ამისთვის პრემიალური ქულა ჩაიბონუსა.

ისე, ამ მატჩს სატურნირო ვითარებით მნიშვნელობა არ ჰქონდა. ახალი ზელანდია ჯერ კიდევ სამი კვირის წინ ვადამდე გახდა სამი ერის სეფე გუნდი, სამხრეთ აფრიკა კი იქითა კვირას ბოლო ტურში ავსტრალიას მასპინძლობს და თავისი პრემიალური ქულითაც რომ გადაურბინოს „ვოლაბებს", მაჩანჩალობას ვერფრით ასცდება.

ერთი სიტყვით, სასწორზე მხოლოდ პრესტიჟის ამბავი იყო და სამხრეთ აფრიკამ იმარჯვა. კაცმა რომ თქვას, ახალ ზელანდიას მაინცდამაინც თავი არ მოუკლავს. „შავების" მწვრთნელმა რამდენიმე მივიწყებული მენაკრებეც ათამაშა და ზოგს ამპლუაც შეუცვალა. ერთადერთი, რაზეც ზელანდიელებს გული დასწყდებათ, ისაა, რომ თექვსმეტმაჩიანი წაგებული სერია შეწყვიტეს.

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ახალი ზელანდია | 5 | 0 | 1 | +67 | 23 |
| ავსტრალია | 2 | 0 | 3 | +20 | 11 |
| სამხრეთ აფრიკა | 1 | 0 | 4 | -83 | 5 |



## მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში

მეთერთმეტე ეტაპი. იაპონია. 345,7 კმ



სებასტიენ ლოები და დანიელ ელენა სარეკორდო გამარჯვებას ზეიმობენ

# ლოებმა საინსს გაასწრო

**მსოფლიოს** ორგზის ჩემპიონმა, 32 წლის სებასტიენ ლოებმა გუშინ იაპონიის რალის მოგებით ეპოქალური რეკორდი დაამყარა.

„სიტროენის" ფრანგმა მძღოლმა ექვსსეზონიან კარიერაში 27-ე დიდი პრიზი მოიპოვა და ასევე ორგზის ტრიუმფატორი ესპანელის კარლოს საინსის შარშანწინდელი მიღწევა გააუმჯობესა.

კუნძულ ჰოკაიდოს მიწა-ღორღიან გზებზე კარგა ხანს ფინელი მარკუს გრონჰოლმი მიდიოდა წინ, მაგრამ შუა დისტანციაზე დაშვებულმა შეცდომამ ოციოდე წამი დააკარგვინა, რაც წაგების ტოლფასი აღმოჩნდა. გალიდერებულმა ლოებმა და მისმა მონაკოელმა თანამძღოლმა დანიელ ელენამ კი ბოლომდე უხინჯოდ ირბოლეს და ხუთი წამით ჩამოიტოვეს ფინელის „ფორდი".

**გია ახალაძე**

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | 3სთ; 22.20,4 |
| 2 | მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, ფორდი) | ჩამორჩა 05,6 |
| 3 | მიკო ჰირვონენი (ფინეთი, ფორდი) | 2.46,5 |
| 4 | კრის ატკინსონი (ავსტრალია, სუბარუ) | 6.07,8 |
| 5 | მანფრედ შტოლი (ავსტრია, პეჟო) | 7.10,7 |
| 6 | არაი (იაპონია, სუბარუ) | 9.05,1 |
| 7 | პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 11.43,7 |
| 8 | ნუტაჰარა (იაპონია, მიცუბისი) | 22.57,4 |

**საერთო ჩათვლა**

1 ლოები — ელენა 102 ქულა; 2 გრონჰოლმი — რაუტიაინენი 69; 3 სორდო — მარტი (ესპანეთი, სიტროენი) 41; 4 ჰირვონენი — ლეჰტინენი 33; 5 შტოლი — მინორი 28; 6 პეტერ სოლბერგი — მილსი 22; 7 გარდმაისტერი — ჰონკანენი (ფინეთი, პეჟო) 16; 8 ჰენინგ სოლბერგი — მენკერუდი (ნორვეგია, პეჟო) 16; 9 გალი — ბერნაჩინი (იტალია, პეჟო) 15; 10 ატკინსონი — მაკნილი 14

**კონსტრუქტორთა თასი**

კრონოს ტოტალ სიტროენი 132 ქულა, BP-ფორდი 121, სუბარუ WRT 74, OMV პეჟო ნორვეი 50, სტობარტ ფორდი 29, რედ ბულ შკოდა 22

US OPEN 2006

## ამერიკის ღია ჩემპიონატი 2006. ჰარდი. საპრიზო 14 769 000 $

# ერნესტზორეზი

### კაცები
### მეორე წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) 6:3 6:4 7:5; ვინსენტ სპადეა (აშშ) — იონას ბიორკმანი (29, შვედეთი) 6:4 7:6 6:2; გასტონ გაუდიო (21, არგენტინა) — სემ ქუერეი (აშშ) 3:6 6:1 6:2 6:4; მარკ გიკუელი (საფრანგეთი) — ხუან-კარლოს ფერერო (16, ესპანეთი) 7:5 6:3 6:4; ტომაშ ბერდიხი (12, ჩეხეთი) — ფლორიან მაიერი (გერმანია) 6:1 3:6 6:3 6:3; დმიტრი ტურსუნოვი (23, რუსეთი) — ალეხანდრო ფალა (კოლუმბია) 6:3 7:6 7:5; კარლოს მოია (ესპანეთი) — პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) 7:6 7:6 6:4; ჯეიმს ბლეიკი (5, აშშ) — თეიმურაზ გაბაშვილი (რუსეთი) 6:3 6:4 7:6; რობი ჯინეპრი (18, აშშ) — პოლ გოლდსტაინი (აშშ) 6:2 6:2 6:4; ტომი ჰაასი (14, გერმანია) — რაემონ სლუტერი (ჰოლანდია) 6:2 6:4 6:3; ფერნანდო გონსალესი (10, ჩილე) — იან ჰაჯეკი (ჩეხეთი) 6:4 6:4 6:2; ენდი მიურეი (17, ბრიტანეთი) — ალესიო დი მაურო (იტალია) 6:0 6:0 6:1; ლუკაშ კუბოტი (პოლონეთი) — ნოამ ოკუნი (ისრაელი) 7:6 6:4 2:6 2:6 6:4; ნიკოლაი დავიდენკო (7, რუსეთი) — ნიკოლა მაჰუ (საფრანგეთი) 6:0 (უარი)

### ქალები
### მესამე წრე

სვეტლანა კუზნეცოვა (6, რუსეთი) — ანასტასია როდიონოვა (რუსეთი) 6:3 6:0; ელენა იანკოვიჩი (19, სერბეთი) — ნიკოლ ვაიდიშოვა (9, ჩეხეთი) 5:7 6:3 6:2; არავანე რეზაი (საფრანგეთი) — მარია კირილენკო (20, რუსეთი) 6:3 6:1; ელენა დემენტიევა (4, რუსეთი) — ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) 7:5 6:3; შაჰარ პირი (21, ისრაელი) — ფრანჩესკა სკიავონე (14, იტალია) 6:3 6:7 7:6; ჟუსტინ ენენ-არდენი (2, ბელგია) — აი სუგიამა (28, იაპონია) 4:6 6:1 6:0

**ამერიკაში** სახელი ერნესტო არ უყვართ, უფრო კი ვერ იტანენ. ფიდელ კასტროსი არ იყოს, ეს სახელი ხომ შეერთებულ შტატებში კარგა ხანია, რაც ლამისაა წყევლად ქცეულა. ალბათ მიხვდით, რომ ჩვენ გევარაზეა საუბარი.

თუმც ამჯერად სულ სხვა ერნესტოა „ყურადღების" ცენტრში. ლაპარაკია საბედისწეროდ ცნობილი „კატრინას" „კაცურ" ვარიანტზე. აშშ-ს სხვადასხვა სახის ქარიშხალ-გრიგალები ხშირად რომ აწუხებენ, საიდუმლოს არ წარმოადგენს. იანკები კი, ერთმანეთში არ აგვერიოსო და, ყველა მათგანს სახელს არქმევენ. ჰოდა, ეს „ერნესტოც" მორიგი ქარიშხალი გახლავთ, რომელმაც სეზონის უკანასკნელი სლემტურნირის მიმდინარეობაში გვარიანი ცვლილებები შეიტანა და აგერ, უკვე მეორე სათამაშო დღე გააუქმა.

თუმც რაც პარასკევს მოესწრო, იმაზე ვისაუბროთ და ქალებზე ვთქვათ, რადგანაც საინტერესო ამბები სწორედ აქ დატრიალდა.

შაბათს ერთბაშად სამი განთესილი გამოეთხოვა „ფლეშინგ მედოუზის" კორტებს. ამათგან კი ყველაზე მაღალი ნომრის მქონე ნორჩი ნიკოლ ვაიდიშოვა გახლდათ. როგორც ჩანს, ჩეხი ჯერჯერობით ვერ უძლებს თანამედროვე ჩოგბურთის დატვირთვებს და სეზონის მეორე ნახევარში აშკარად ეტყობა, რომ სერიოზულ პრობლემებს განიცდის. ვაიდიშოვამ სწორედ ამის გამო ჩააგდო წინა სატურნირო მომზადება. ისე, მესამე წრემდე თინეიჯერი ჩეხი მაინც კარგად იქნევდა ჩოგანს და წინაც დაუბრკოლებლად მიიწევდა, მაგრამ ელენა იანკოვიჩმა იოლად დანებება არ ინება და თამაში გაიწელა თუ არა, ნიკოლიც მალე გადაიღალა, რის გამოც მას ასე ნაადრევად მოუწია წლევანდელი ნიუიორკული კამპანიის დასრულება.

დანარჩენი ორი გავარდნილი განთესილი კი ფრანჩესკა სკიავონე და მარია კირილენკო გახლავთ. იტალიელის გავარდნა დიდ მოულოდნელობად შეიძლება არც ჩავთვალოთ, რადგანაც აპენინელი ძლიერ ებრაელ შაჰარ პირს ხვდებოდა. აი, არავანე რეზაის მიერ კირილენკოს ასე სასტიკად „დაჩოგნვა" კი მართლაც სენსაციაა.

სამაგიეროდ, უპრობლემოდ აგრძელებს წინსვლას ორი ბობოლა რუსი — შთაბეჭდილება იქმნება, რომ სვეტლანა კუზნეცოვა და ელენა დემენტიევა თამაშიდან თამაშამდე უმატებენ. ამჯერად საკუთარი ტრიუმფისთვის ორივეს თანამემამულეთა გათელვა დასჭირდა.

**კახა ლომაშვილი**

# ცრემლი და მადლობა ათასი



**როგორც** პოეტი იტყოდა, გუშინ ეპოქა გასრულდა დიდი — დიდი ჩოგბურთიდან დიდი ანდრე აგასი წავიდა. წავიდა მშობლიური „ფლეშინგ მედოუზის" ცენტრალური, არტურ ეშის სახელობის კორტიდან.

ანდრემ კარგა ხნის წინ თქვა, წლევანდელი US open ჩემი ბოლო ტურნირი იქნებაო და ამერიკის ღიაზე 21-ედ გასულმა, ჯერ ანდრეი პაველი დაჯაბნა, შემდეგ ფანტასტიკურ თრილერივით მატჩში მარკოს ბაღდატისს მოუგო და მესამე წრეში კი ბედის ირონიით 5:7 7:6 4:6 5:7 დამარცხდა მავან გერმანელ ბენჯამინ ბეკერთან, ვისთვისაც ეს შეჯიბრი კარიერაში ოდენ მეორე სლემტურნირია და ვინც ფეხს იდგამდა, აგასიმ 1986 წელს პირველად რომ ითამაშა US open-ზე.

მაშინ, ამ 20 წლის წინ კორტებზე სხვა გერმანელი და სხვა ბეკერი, დიდი ბორის ბეკერი ჯადოქრობდა. მასა და ანდრეს მთელი ათწლეულის განმავლობაში არაერთი დიდი მატჩი ჩაუტარებიათ.

ბეკერი, ლენდლი, ედბერგი, რაღა თქმა უნდა, პიტ სამპრასი და ჩანგი, რაფტერი, კაფელნიკოვი, ბოლოს ჰიუიტი და ფედერერი — ორი ათეული წლის მანძილზე აი, ამ დიდოსტატებს ეტოქებოდა თავად სწორუპოვარი ჯადომეჩოგნე და ჩამოთვლილთაგან ოთხივე სლემტურნირის ერთადერთი მომგები ბოლოს ვინმე ბ. ბეკერთან დამარცხდა.

დამარცხდა და წავიდა. რომელიღაც ეტაპზე წააგებდა და წავიდოდა, მაგრამ შეძლებისდაგვარად მეტხანს სურდა თამაში, მეორე კვირას ნატრულობდა. არ გამოვიდა. დიადი ჩოგბურთელის კარიერას სხვა, ძველი დიადის უსახელო თანამოგვარემ დაუსვა წერტილი.



## 61-ე ვუელტა 26 აგვისტო-17 სექტემბერი




AFP ლუქსოდან

ალექსანდრ ვინოკუროვმა უქმეებზე წყვილად იმარჯვა

# შაბათ-კვირას ვინო კარგია

**ის, რისი** გაკეთებაც პარასკევს ვერ შეძლო, ყაზახური „ასტანას" მრბოლმა ალექსანდრ ვინოკუროვმა შაბათს და კვირას მოახერხა. პარასკევს „ვუელტას" მე-7 ეტაპზე, რომლის ფინიშიც ოცკილომეტრიანი აღმართის ბოლოს იყო, ვინოკუროვმა ხსენებულ აღმართზე რამდენჯერმე შეუტია და ბოლო კილომეტრზე, თითქოს გადამწყვეტი უპირატესობაც მოიპოვა, მაგრამ გამარჯვებისთვის ძალა აღარ ეყო — ფინიშამდე ასიოდე მეტრიღა რომ რჩებოდა, „ვინო" თითქოს დადგა და მას ერთბაშად ხუთმა მრბოლმა ჩაუქროლა ესპანელი ალეხანდრო ვალვერდეს თამადობით.

შაბათს ვინოკუროვმა რევანში აიღო. პონფერადასა და ლუგოს შორის გაჭიმულ 181,6 კილომეტრზე მთები არ იყო და როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ველოსიპედისტებმა ჯგროდ უწიეს ფინიშს. თუმცა, მანამდე იყო გაქცევის რამდენიმე მცდელობა. მათგან კევინ ვან იმპის გაქცევა უნდა გამოვყოთ. ეს უკანასკნელი კარგა ხანს ლიდერობდა, ბლომადაც უგებდა პელოტონს, მაგრამ ფინიშამდე ცხრა კილომეტრით ადრე ველოქარავანმა მაინც ჩაყლაპა ავანტიურისტი და ვან იმპს იმის ძალაც აღარ ეყო, ძირითად ჯგუფში რომ დარჩენილიყო — ძალაგამოცლილი კუდში მოექცა პელოტონს და საბოლოო ჯამში ფინიშს უკანასკნელმა, 179-ემ უწია ვინოკუროვთან ექვსწუთნახევრიანი ჩამორჩენით.

თავად „ვინომ" კი ამჯერად სწორედ იმ დროს იხეირა, რა დროსაც წინა დღეს ძალა გამოეცალა, ანუ ფინიშამდე ასიოდე მეტრით ადრე, როდესაც ჯგროდ მიმავალ მეტოქეებს დაუსხლტა და მთელი ეს ქარავანი, მართალია მხოლოდ ერთი წამით, მაგრამ უკან ჩამოიტოვა.

უფრო შთამბეჭდავი იყო ვინოკუროვის გუშინდელი გამარჯვება ურთულეს, შვიდმთიან ეტაპზე, რომელთაგან ერთი უმაღლესი, ხოლო სამი პირველი კატეგორიის სირთულის იყო. „ვინომ" თანაგუნდელ ანდრეი კაშეჩკინთან ერთად ბოლო, ალტო დე ლა კობერტორიას აღმართში შეუტია მაშინ, ფინიშამდე შვიდი კილომეტრი რომ რჩებოდა. „ასტანას" დუეტის ამ იერიშს მხოლოდ ალეხანდრო ვალვერდე გამოეხმაურა, რომელმაც კაშეჩკინს კი გაასწრო, მაგრამ ვინოკუროვს ველარაფერი მოუხერხა და შედეგად, „ვინომ" ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა.

ბოლო კილომეტრებზე უიმედოდ ჩამორჩა საერთო ჩათვლის სლოვენიელი ლიდერი იანეშ ბრაიკოვიჩი, რომელმაც გამარჯვებულთან ორ წუთზე მეტი წააგო და ოქროსფერი მაისურა ვალვერდეს გადაულოცა.

დღეს „ვუელტაზე" პირველი დასვენების დღეა, ხოლო ხვალ პელოტონს მორიგი პირინეული გამოცდა ელის.

**გია მუჯირი**

### მე-8 ეტაპი. 2 სექტემბერი. პონფერადა-ლუგო. 181,6 კმ.

| | |
|---|---|
| 1. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ასტანა) | 4სთ.02წთ.11წმ |
| 2. რუჯერიო მარცოლი (იტალია, ლამპრე) | +1წმ |
| 3. ბოროს მურნი (სლოვენია, ფონაკი) | |
| 4. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი) | |
| 5. პაოლო ბეტინი (იტალია, ქვიკ სტეპი) | ყველამ იგივე ჩამორჩენა |

### მე-9 ეტაპი. 3 სექტემბერი
### ფონსაგრადა-ალტო დე ლა კობერტორია. 207,4 კმ

| | |
|---|---|
| 1. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ასტანა) | 5სთ.50წთ.43წმ |
| 2. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილეს ბალეარსი) | +16წმ |
| 3. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა) | +21წმ |
| 4. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +43წმ |
| 5. ხოსე ანხელ გომეს მარჩანტე (ესპანეთი, სონი დიუვალი) | +43წმ |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილეს ბალეარსი) | 36სთ.41წთ.31წმ |
| 2. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა) | +27წმ |
| 3. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +44წმ |
| 4. ხოსე ანხელ გომეს მარჩანტე (ესპანეთი, სონი დიუვალი) | +56წმ |
| 5. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ასტანა) | +1წთ.38წმ |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00